კონსერვატორებმა პასუხი ივოვეს

A2

გარანტია - თქვენი ფიცი, ბატონო პრეზიდენტო!

A5

როჟე ფედერერი: "გამარჯვებისგან არ დავიღალე"

A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 6 ივლისი, 2005 წელი. №151 (1011)

ფასი 50 თეთრი

ქართველი ტანკისტები არ ხუმრობენ

ვერიკო თევზაძე

ორფოლოს პოლიგონზე მიმდინარე ქართველი ტანკისტების წვრთნებს მაღალი შეფასება მისცეს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ლევან ნიკოლეიშვილმა, რომლებმაც გუშინ ახალციხეში ტანკისტთა სწავლების - "ჯავშანი-2005"-ის მონაწილეები მოინახულეს.

როგორც "24 საათს" თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა განუცხადა, წვრთნებში მონაწილეობენ გორის პირველი ქვეითთა ბრიგადისა და ქუთაისის მეორე ქვეითთა ბრიგადის ბატალიონები.

ქართველი ტანკისტები, რომლებიც აქამდე მხოლოდ საკუთარი სამხედრო ნაწილების ტერიტორიებზე მოძრაობდნენ, გუშინ 14-კილომეტრიან წრეზე ასპარეზობდნენ. ეს მანძილი მათ სწავლების მიხედვით გათვალისწინებულ დროში წარმატებით დაძლიეს.

ქუთაისის მეორე ქვეითთა ბრიგადის მეორე ჯავშანსატანკო ბატალიონი გუშინ დღის პირველ ნახევარში ატარებდა შეიარაღების ტექნიკურ მომსახურებას. გუშინწინ ღამით მათ ღამის სროლები ჩაატარეს. გუშინ საღამოთი ტანკისტები ისროდნენ როგორც T-72-დან, ასევე ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან.

ორფოლოს წვრთნები 14 ივნისს დაიწყო. იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი სწავლებაა. **"პროგრესი სახეზეა,"** - აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი.

წინასწარი ინფორმაციით, 18 ივლისისთვის დაგეგმილ "ჯავშანი-2005"-ის საზეიმო დახურვას, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწროს.

არ ენდოთ თაღლითებს

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ბოლო პერიოდში, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დაუდგენელ პირთა ჯგუფები დადიან ოჯახებში, თავს ასაღებენ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებად და ხალხს ფულს სძალავენ. **"სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შესახებ ინფორმაციას სამინისტრო გაავრცელებს. მანამდე კი თაღლითებს არ ენდოთ და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი მოსთხოვეთ,"** – გვირჩევენ სამინისტროში.

24 საათი

ამინდი

	6/07	7 /07
თბილისი	31	32
ქუთაული	22	30
სოხუმი	25	28
გორი	25	28
ონი	16	26
ზუგდიდი	26	31
ახმეტა	31	31
გაბრა	25	27
სამტრედია	26	32

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8225
ევრო	2.1673
ბირვანძა სტერლ.	3.1916
რუბლი	0.0632

ამბები	A 2
ამბები	A 3
საზოგადოება	A 4
"თქვენი აფხაზეთი"	A 5
სპორტი	A 6
სხვადასხვა	A 7
სხვადასხვა	A 8

ფორსმაჟორი ენერგოსისტემაში

გუშინ თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი უნდა განახლებულიყო. ამის შესახებ საგანგებო პრესკონფერენციაზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. მისი თქმით, 3 ივლისს, ღამით დაწყებული ექსპორტი "ხოფას" ქვესადგურში თურქეთის მხარეს შექმნილი პრობლემების გამო შეჩერდა.

თუმცა, გუშინ საქართველოს ენერგოსისტემაში კვლავ ფორსმაჟორული ვითარება შეიქმნა. დასავლეთ საქართველოში მოსულმა ძლიერმა წვიმამ და ჭექა-ქუხილმა მწყობრიდან გამოიყვანა გადამცემი ხაზები და ქვესადგურები. კერძოდ, დაზიანდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მაკავშირებელი მაგისტრალური (500-კილოვოლტიანი) ელექტროგადამცემი ხაზი "იმერეთი", რომლის დაზიანების გამოც, ჯერ კიდევ გუშინწინ ღამით, აღმოსავლეთ საქართველო რამდენიმე საათით ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. სტიქიის გამო, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი ლენტეხის, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულის, ზესტაფონის, ხონის, წყალტუბოს რაიონები, ქუთაისის დიდი ნაწილი. 6-10-კილოვოლტიანი ხაზები და ფიდერები დაზიანდა ზესტაფონის, ხონის, წყალტუბოს რაიონებში და ქუთაისში. ლენტეხის და ცაგერის რაიონებს ელექტროენერგიის მიწოდება მაღალი ძაბვის (220 კილოვოლტი) გადამცემ ხაზ "დერჩზე" მომხდარი ავარიის გამო შეუწყდათ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ჟურნალისტური პოდიუმი

A8

ბესო ბელაძე/ფოტოები

ბრძოლა „ორთაჭალის ტურფისთვის"

"ორთაჭალის ტურფად" წოდებული საცხოვრებელი უბნის (რესტორან "ასტორიას" მახლობლად) მშენებლობა, სავარაუდოდ, წლის ბოლოს დაიწყება. საუბარია 65 ჰექტარზე გადაჭიმულ, მუნიციპალიტეტისა და ინვესტორების მიერ ერთობლივად აშენებულ დასახლებაზე, რომელიც, როგორც ინვესტორები გვპირდებიან, ერთ-ერთი საუკეთესო უბანი იქნება თბილისში. მანამდე კი გეგმაშია აღნიშნული ტერიტორიის გათავისუფლება დევნილების 300-მდე ოჯახისგან. გუშინ ისანი-სამგორის გამგეობამ, ადმინისტრაციულ ინსპექციასთან ერთად, დევნილების მიერ უკანონოდ შემოღობილ ნაკვეთებს ღობე მოხსნა.

ნანა ქადაგიშვილი

"ორთაჭალის ტურფას" პრეზენტაცია თბილისის მთავრობამ შარშან აგვისტოში მოაწყო. 65 ჰექტარი ფართის ტერიტორიის (სადაც აღნიშნული დასახლებული უბნის მშენებლობა იგეგმება) 75 პროცენტი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, 3 ჰექტარი სამშენებლო კომპანიებს "არსსა" და "ევრაზს" ეკუთვნის, ტერიტორიის ნაწილი კი – სავაჭრო პალატას. მუნიციპალიტეტი და ინვესტორები "ორთაჭალის ტურფას" დასახლებას ერთობლივად ააშენებენ (20 ჰექტარი საავადმყოფოს დაეთმობა).

გაგრძელება A2 გვერდზე

პუტინის, შირაკისა და შრიოდერის „პოლიტკორექტული" ხუმრობა

როგორც ჩანს, კვირას კალინინგრადში გამართულ "ძველი მეგობრების" შეხვედრას არცთუ მოსაწყენად ჩაუვლია. ფრანგული გაზეთი "ლიბერასიონი" წერს, რომ საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის პრეზიდენტები ძალიან კარგ ხასიათზე იყვნენ და ბევრსაც ხუმრობდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე "მახვილგონივრულ" კაფიებს ჟაკ შირაკი თხზავდა და, რაც მთავარია, მისი სარკაზმის სამიზნეები, ძირითადად, ბრიტანელები იყვნენ. თუმცა, პუტინ-შირაკს არც ამერიკელთა "უცნაურობები" დავიწყნიათ. აღსანიშნავია, რომ დღეს შოტლანდიაში "დიდი რვიანის" სამიტი იხსნება. ასე რომ, "მხიარულ" პრეზიდენტებს თავად მოუწევთ დაწუნებული ბრიტანული სამზარეულოს დაგემოვნება.

გაგრძელება A4 გვერდზე

თეა თუთბერიძე შოთა კოპაძის წინააღმდეგ ახალ ფაქტებს ასახელებს

სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგის ჯგუფის წევრები ბოლო დღეებში, სხვადასხვა საპყრობილეში მომხდარი ინციდენტების გამო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვენ. თუმცა, როგორც ჩანს, შოთა კოპაძის პერსონა ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

გუშინ კოპაძის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია "თავისუფლების ინსტიტუტის" და მონიტორინგის ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა თეა თუთბერიძემ. თეა თუთბერიძე მდგომარეობის შესასწავლად თბილისის მე-7 საპყრობილეში შევიდა. ციხეში მან ე.წ. კანონიერი ქურდის, მეტსახელად „წრიპას", მიერ ნაცემი პატიმარი მოინახულა. თეა თუთბერიძესთან საუბრისას პატიმარმა ცემის ფაქტი არ დაადასტურა. თუმცა, როგორც მონიტორინგის საბჭოს წევრი ირწმუნება, პატიმარი ნამდვილად ნაცემია. სხვათა შორის, აღნიშნული ინციდენტის დღესვე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ პატიმრებს შორის ფიზიკური დაპირისპირება კატეგორიულად უარყო. თუთბერიძე საპყრობილეში არსებულ მდგომარეობას აკრიტიკებს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს.

გაგრძელება A3 გვერდზე

მოჭიდავეები და მათი გულშემატკივრები წინასწარ პატიმრობაში არიან

ბერძენი ბიზნესმენის გივი იორდანოვისთვის ფულის გამოძალვის ბრალდებით დაკავებულმა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსი დავითაშვილმა და ძიუდოში მსოფლიო ვიცე-ჩემპიონმა გიორგი რევაზიშვილმა რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს. სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, დღეს გაიმართება.

დაკავებულები ფულის გამოძალვის ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ იორდანოვის ნამდვილი გვარი იორდანინია და იგი ცნობილი თაღლითია.

ბრალდებულთა ადვოკატებისა და ახლობლების თქმით, იორდანინს ეჭვმიტანილთა ახლობლის ნუგზარ კახიძის ვალი ჰქონდა და გადახდას აგვიანებდა. სპორტსმენები სწორედ ამ თანხის დაბრუნებას ითხოვდნენ. სპორტსმენების დაკავებიდან მეოთხე დღეს შს სამინისტრომ გაავრცელა ცნობა, რომელშიც რევაზიშვილი და დავითაშვილი ე.წ. "კანონიერი ქურდების" კრიმინალური დაჯგუფების წევრებად არიან მოხსენიებულნი. მოჭიდავეთა ახლობლები აღნიშნულ ინფორმაციასაც კატეგორიულად უარყოფენ. მათი განცხადებით, აღნიშნული ბრალდება მხოლოდ იმიტომ გავრცელდა, რომ სატელეფონო საუბარში დავითაშვილი მის მეგობარს დავით ქარსელაძეს ("კალატოზას") ახსენებს. მეგობრობა კი დანაშაული არ არის.

გაგრძელება A3 გვერდზე

ლევან ბერძენიშვილი:

„გავაკეთე უფრო მკაცრი განცხადებები, ვიდრე ამას აღნიშნული ინციდენტი იმსახურებდა"

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი "24 საათთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ 30 ივნისს გააკეთა უფრო მკაცრი განცხადებები, ვიდრე ამას ხელისუფლების ქმედება იმსახურებდა.

სოფო ბუკია

- ბატონო ლევან, გუშინ პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ოპოზიციონერთა ნაწილის მხრიდან კრიმინალთა დაცვა არ გაკვირვებია, მაგრამ ერთი ნაწილის პოზიცია გამიკვირდაო. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ნაწილში პრეზიდენტი სწორედ "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლებს გულისხმობდა...

- პრეზიდენტმა თავად იცის, ვის და რას გულისხმობს, მაგრამ მე ჩემი თავი ამ განცხადებაში არ მიგულისხმია. კრიმინალების დამცველი არასოდეს ვყოფილვარ და ვერც ვიქნები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრიმინალის მიმართაც შეიძლება ირღვეოდეს კანონი. კრიმინალების დასაცავად მე ქუჩაში არ გავდივარ.

- რაღაც დროის გასვლის შემდეგ ხომ არ გადააფასეთ ის რეაქცია, რაც 30 ივნისს მოდიოდა თქვენგან. რატომ მიეცით ხელისუფლების მოქმედებას ასეთი ხმამაღალი შეფასება – კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული? დღესაც ასე ფიქრობთ?

- არა. რა თქმა უნდა, მაშინ განცხადებები ცხელ გულზე გაკეთდა. მადლობა ღმერთს, 30 ივნისის მოვლენებმა არ მიიღო უფრო მახინჯი სახე და სამართალდამცავთა ქმედებებს მსხვერპლი არ მოჰყოლია. მაგრამ მე, როგორც ადამიანმა, მოვლენათა შეფასებისას, იმ წუთას, გავაკეთე უფრო მკაცრი განცხადებები, ვიდრე ამას აღნიშნული ინციდენტი იმსახურებდა. მე იურისტი არა ვარ, რომ ყველაფერი მომენტალურად ავწონდავწონო. იმ დროს მამოძრავებდა ერთადერთი რამ - უფრო უარესი არ მომხდარიყო. ჩემი განცხადებების სიმკაცრის მიზეზიც ეს არის. მადლობა ღმერთს, უარესი არ მოხდა. დღევანდელი გადასახედიდან, ბუნებრივია, ჩანს, რომ ხელისუფლების ქმედება ასეთ მძიმე შეფასებას არ იმსახურებდა. თუმცა, კანონდარღვევა და ხელისუფლების გადამეტება ნამდვილად იყო და ეს ეჭვს არ იწვევს. "შორტებში" გამოწყობილი პოლიციელები რომ ვიღაცას მანქანაში ტენიან, ეს, ცხადია, კანონდარღვევაა. რუსთაველზე გამოყვანილი ჯარების სახეობა, რაოდენობა, ავტომატები, სამოქალაქო ფორმაში გადაცმული პოლიციელები და ა.შ. - რა თქმა უნდა, ეს აღემატებოდა საჭიროებას. დღეს ჩემი შეფასებებისას შეიძლება სიმძაფრე ნაკლები იყოს, მაგრამ უარყოფითი შეფასება რჩება. კანონი აშკარად დაირღვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

"კავკასიონი" სექტემბრისთვის უნდა აღდგეს

რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "კავკასიონის" რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან "საქრუსენერგოს" ორი მილიონი ლარი გამოეყო. "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის შოთა მაისურაძის განცხადებით, გადამცემი ხაზის სრულ რეაბილიტაციას 7-8 მილიონი ლარი სჭირდება. მისივე თქმით, დამატებით საჭირო თანხის ნაწილს თავად "საქრუსენერგო" მოიზიდავს. ხაზი, სავარაუდოდ, სექტემბრისთვის უნდა აღდგეს.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი რეგიონების კომუნალურ გამრიცხველიანებას დადებითად აფასებს

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის (სესბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, ბაზარი, ელექტროენერგეტიკული სექტორის მდგრადობისა და ფინანსური სტაბილურობის მიღწევის მიზნით, მხარს უჭერს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას დისციპლინარული ღონისძიებების გატარებაში, რაც რეგიონების კომუნალური გამრიცხველიანების პროცესის წარმოებაში გამოიხატება.

აპრილის თვეში, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ დაწყებულმა გამრიცხველიანების პროცესმა კონკრეტული შედეგი უკვე გამოიღო: მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ყოველთვიურად 2 მილიონი ლარით გაიზარდა. შესაბამისად, გაუმჯობესდა სესბ-ის სპეციალურ ანგარიშზე სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან თანხების გადახდის დინამიკაც, რამაც გენერაციისა და მომსახურე ორგანიზაციების მიმდინარე ანაზღაურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაობის დაფინანსების გაზრდა განაპირობა; ასევე შესაძლებელი გახადა ენერგოსექტორის ზამთრის სეზონისთვის გაცილებით უკეთ მომზადებაც.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ რეგიონების 95 პროცენტით გამრიცხველიანებამ 40 პროცენტით შეამცირა ელექტროენერგიის მოხმარება, რაც ზამთრის პერიოდში ენერგოდეფიციტის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

სამწუხაროდ, რეგიონებში კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებამ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი მოუწოდებს მოსახლეობას, გაგებით მოეკიდონ კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებას, ვინაიდან აღნიშნული კამპანია, თანხების სიმცირის გამო, ამ ეტაპზე ერთადერთი ოპტიმალური გამოსავალია ელექტროენერგეტიკული მდგრადობის მისაღწევად.

აღრიცხვიანობის მოწესრიგება, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სრულად და დროულად გადახდა, დანაკარგებისა და მოხმარების შემცირება შესაძლებელს გახდის რეგიონების ელექტროენერგიით უზრუნველყოფას, - აცხადებენ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში.

პატიმრების განათლებაზე ზრუნვა დაიწყო

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ტასისის პროექტის „სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა საქართველოში" ფარგლებში, სასტუმრო „სიმპათიაში" გაიმართა შეხვედრა თემაზე: „პატიმართა განათლების სისტემის განვითარება", რომელშიც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრის გახსნისას იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ პენიტენციურ სისტემაში განათლების საკითხი მწვავე პრობლემაა. ამ კუთხით უკეთესი მდგომარეობა იყო საბჭოთა პერიოდში, ბოლო წლების მანძილზე კი განათლების სფერომ საპატიმრო დაწესებულებებში დეგრადაცია განიცადა. „ამ სფეროში კომპლექსური ცვლილება ძნელი გასატარებელი იქნება, თუმცა პირველ ეტაპზე შესაძლებელია პრობლემის მოგვარებისაკენ ნაბიჯების გადადგმა", - აღნიშნა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ. ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, პენიტენციურ სისტემაში არასამთავრობო სექტორის როლის განვითარების მხარდასაჭერად სასჯელაღსრულების ადმინისტრაციამ შეარჩია სამი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც პატიმრების დასაქმების, საგანმანათლებლო და ვადაზე ადრე გასათავისუფლებელ პატიმართათვის მხარდაჭერის პროგრამებს განახორციელებს.

„წერა-კითხვისა და მათემატიკის დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამის პირველ პროექტს რუსთავის N1 დაწესებულებაში არასამთავრობო ორგანიზაცია „პეონი" განახორციელებს, სადაც 60-მდე პატიმარი მომზადდება. კურსდამთავრებულ პატიმრებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატი „პეონის" მიერ.

ამის პარალელულად, ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ სასჯელაღსრულების სისტემის ციხის თანამშრომლების სწავლებაც დაიწყო, რომლებიც ქუთაისისა და რუსთავის ახალ საპყრობილეებში დასაქმდებიან. ევროპის საბჭოს სამართლებრივ საქმეთა დირექტორატისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ექვსდღიანი ტრეინინგი 27 ივნისიდან დაიწყო და 4 ივლისს დასრულდა. მასში სასჯელაღსრულების სისტემის 20-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა. სწავლებას უძღვებოდნენ ევროპის საბჭოს ექსპერტები.

აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ექსპერტმა ტომას მიულერმა აღნიშნა, რომ ტრეინინგზე საკითხებს ქართული რეალობიდან გამომდინარე იხილავდნენ.

„დღეს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში რთული მდგომარეობაა. ნაკლებად არის დაცული სისტემის თანამშრომელთა უფლებები, მათ არ აქვთ მუშაობის მოტივაცია, ვინაიდან არ აქვთ სამუშაო პირობები", - აღნიშნა ტომას მიულერმა.

მედიანიუსი

ადვოკატთა პროტესტი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულმა "დანაშაულებრივმა სქემამ" მასში დასახელებულ პიროვნებებს შორის დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. გაზეთმა "24 საათმა" უკვე გამოაქვეყნა რამდენიმე მათგანის პოზიცია, გუშინ კი რედაქციას ბრალდებულ ლაშა გეთიაშვილის ადვოკატებმა - ნანა ფილაურმა და მევლუდ ჯანჯღავამ მომართეს. როგორც ადვოკატები ირწმუნებიან, მათი დაცვის ქვეშ მყოფი - გეთიაშვილი კატეგორიულად უარყოფს სქემაში დანაშაულებრივი ჯგუფის თავკაცად დასახელებული დავით ქარსელაძის ("კალატოზას") დაჯგუფების წევრობას და, საერთოდ, დასახელებულ პიროვნებებთან რაიმე კავშირს.

საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის ერთობლივი პროექტები

კავკასიის რეგიონის გარემოს დაცვის ცენტრის დამფუძნებელმა, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრებმა გუშინ, სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" კავკასიის რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ისაუბრეს. რეგიონული პროექტები უკვე მეხუთე წელია, რაც ხორციელდება. კავკასიის რეგიონის გარემოს დაცვის ცენტრის ცენტრალური ოფისი თბილისში მდებარეობს. .

ერთ მაგიდასთან მსხდომი, სამი ქვეყნის გარემოს დაცვის მინისტრი მხოლოდ ცენტრის საკითხებითა და რეფორმით არ შემოიფარგლა, მათ ასევე ისაუბრეს კავკასიის გარემოსდაცვით ჰარმონიზაციაზე ევროკავშირთან. "უნდა განისაზღვროს ევროპასთან სამეზობლო პოლიტიკა," - აღნიშნეს მინისტრებმა.

შეხვედრაზე კავკასიის გარემოსდამცველები ორმხრივ პროექტებსაც შეეხნენ. ისაუბრეს, როგორც მტკვარ-არაქსის აუზის პროექტზე, ასევე ჯავახეთის ნაკრძალში არსებულ პრობლემებზე, სადაც უახლოეს მომავალში ეროვნული პარკის გახსნა იგეგმება.

24 საათი

ბრძოლა „ორთაჭალის ტურფისთვის"

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მერიის კუთვნილი საცხოვრებელი სახლები მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდში შევა. სხვათა შორის, ინვესტორების თანადაფინანსებით, ასეთი საბინაო ფონდის შექმნა ქალაქის ხელმძღვანელობას ავარიულ სახლებში მცხოვრებთა პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალებად მიაჩნია. ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში მუნიციპალური საბინაო ფონდის შესაქმნელად 10 მილიონი ლარია გათვალისწინებული. როგორც სამშენებლო კომპანია "არსის" ხელმძღვანელმა გია აბულაძემ განგვიცხადა, საცხოვრებელი უბნის ასაშენებლად მოსამზადებელ სამუშაოებს სექტემბრიდან დაიწყებენ, მშენებლობის დაწყება კი წლის ბოლოს იგეგმება. **"ეს იქნება თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო უბანი თავისი ინფრასტრუქტურით - კაფეებით, რესტორნებით, სპორტული მოედნებით..."** – აცხადებს აბულაძე.

მართალია, ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა და საცხოვრებელი უბნის პროექტის კეთებაც კი არ დაწყებულა, მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ იდეას ქალაქის ხელმძღვანელობაში, ჯერჯერობით, მოწინააღმდეგე არ ჰყავს. ერთადერთ პრობლემად დევნილების 300-მდე ოჯახი რჩება, რომელთაც აღნიშნული ტერიტორია უკანონოდ დაიკავეს და ნაკვეთებად შემოღობეს. რამდენიმე ოჯახმა კი უკვე სახლებიც წამოჭიმა. როგორც აბულაძე აცხადებს, "არსმა" კუთვნილ 3 ჰექტარზე მდებარე 3 საცხოვრებელი სახლისა და ნაკვეთების დროებით მფლობელთა წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მოიგო და მათი გასახლების სრული უფლება აქვს. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის კუთვნულ ფართს, მერიის ხელმძღვანელობის დავალებით, ისანი-სამგორის გამგეობამ, ადმინისტრაციულ ინსპექციასთან ერთად, აღნიშნული ტერიტორიის გათავისუფლება უკვე დაიწყო. გუშინ, დევნილების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ახლად შემოღობილ ნაკვეთებს ღობეები მოხსნეს. **"ეს ტერიტორია მთლიანად უკანონოდ არის დაკავებული. მას მერე, რაც ხალხმა გაიგო, რომ ამ ადგილით ინვესტორები დაინტერესდნენ, ნაკვეთების შემოღობა გახშირდა. გუშინ ახლად შემოღობილი ნაკვეთების ღობეები მოვშალეთ. ასევე, უკანონოდ აშენებული სახლების ბედი კი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს,"** – აცხადებს ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი გიორგი ქორქაშვილი.

გიორგი ბებიაშვილის ფოტო

მოლაპარაკებები ძნელად შეიძლება ეწოდოს იმ დაძაბულ ვითარებას, რომელიც გუშინ ორთაჭალაში შეიქმნა.

ფორსმაჟორი ენერგოსისტემაში

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დენის მიწოდება, მოსახლეობასთან ერთად, სასიცოცხლო ობიექტებსაც შეუწყდა. ერთი საათის განმავლობაში პარალიზებული იყო დედაქალაქის ელექტრომომარაგებაც. თბილისისთვის დენის მიწოდება, 220-კილოვოლტიანი სარეზერვო ხაზით, ავარიიდან მხოლოდ ერთ საათში და, ისიც, ნაწილობრივ მოხერხდა.

ფორსმაჟორი გაგრძელდა გუშინაც და საქართველოს ენერგოსისტემაში მორიგი ავარია მოხდა. მიზეზი კვლავ "იმერეთის" გათიშვა იყო, რის გამოც აღმოსავლეთ საქართველოს ენერგომომარაგება მთლიანად შეწყდა. მომხდარი ავარიის გამო, ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა დედაქალაქის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებსაც კი – მეტროპოლიტენს, ტელეანძას, საავადმყოფოებს და სხვა.

ყოველივე ამის გამო, ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა სომხეთში ვიზიტი გადადო. გილაური ერევანში სომხეთთან დამაკავშირებელი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით უნდა ჩასულიყო.

ბოლო ინფორმაციით, ნიკა გილაური 7 ივლისს აზერბაიჯანში გაემგზავრება და აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს, ნატიკ ალიევს, ასევე, აზერბაიჯანის ენერგეტიკული სექტორის წარმომადგენლებს შეხვდება. იქვე, ქართული მხარე აპირებს, აზერბაიჯანს შაჰ-დენიზის გაზსადენით აირის ტრანზიტისთვის დამატებითი გაზი მოსთხოვოს.

აღსანიშნავია, რომ აქამდე მეზობელი ქვეყანა საკუთარი აირის ტრანსპორტირებისთვის 0,4-0,6 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს გვპირდებოდა. თუმცა ნიკა გილაური მიიჩნევს, რომ საწვავი აირის ეს მოცულობა საქართველოს ენერგეტიკული უზრუნველყოფისთვის საკმარისი არ არის და 2007 წლისთვის აზერბაიჯანისგან 30 მილიარდი კუბური მეტრი აირის მოთხოვნას გეგმავს.

შეხვედრაზე, სავარაუდოდ, ქართველ მინისტრს 2002 წელს აზერბაიჯანის მიერ მოწოდებული 30 მილიონი კუბური მეტრი გაზის დავალიანებასაც გაუხსენებენ. გილაურის განცხადებით, არ არსებობს იურიდიული კონტრაქტი, რომელიც ამ ვალს დაადასტურებს, შესაბამისად, არც მისი დაფარვის მექანიზმია განსაზღვრული.

"აზერბაიჯანი გაზს 3 ცენტად გვიანგარიშებს, ვალის მოცულობა 900 ათასი ამერიკული დოლარს შეადგენს," - განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა.

24 საათი

კონსერვატორებმა პასუხი ივოვეს

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

როგორც ჩანს, მიმდინარე კვირას, პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე საპარლამენტო უმრავლესობა საარჩევნო კოდექსში იმ ცვლილებების შეტანას შეეცდება, რომელიც დედაქალაქის მერის და საკრებულოს არჩევის ახალ პრინციპს ეხება.

წესით, ეს საკითხი პარლამენტს საშემოდგომო სესიის პირველივე სხდომებზე უნდა განეხილა, მაგრამ გუშინ ცნობილი გახდა, რომ ცვლილებების პროექტი ორი დღის წინ მომზადდა და იგი პარლამენტში გუშინ შევიდა. ცვლილებების ავტორი პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანია.

პროექტის შესახებ პარლამენტის წევრებმა არაფერი იციან. საკმაოდ მწირი ინფორმაცია აქვთ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების საპარლამენტო კომიტეტშიც.

ამ კანონპროექტის არსებობის შესახებ პირველებს კონსერვატორებს შეუტყვიათ. ყოველ შემთხვევაში, გუშინ, პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა ჟურნალისტებს ამცნეს, რომ კანონპროექტი გასაიდუმლოებულად მომზადდა, თან - როგორც ზვიად ძიძიგური აცხადებს, არად აგდებს ოპოზიციის აზრს და ნებისმიერ საკითხს ტენდენციურად, მმართველი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ უდგება.

დაბოლოს: გუშინ საქართველოს პრეზიდენტს სატელევიზიო ეთერით "კონსერვატორების" ყველა შეკითხვაზე გაუცია პასუხი. ასე, მაგალითად, კობა დავითაშვილმა უკვე იცის, რატომ "გადააგდო" პრეზიდენტმა მეანაბრეები და პენსიონერები, რატომ მოატყუა მცირე მეწარმეები და რატომ ამყარებს ქვეყანაში ერთპარტიულ დიქტატურას. **"კითხვაზე "რატომ?" პრეზიდენტმა თავად გვიპასუხა – რატომაც არა,"** - განაცხადა გუშინ "კონსერვატორების" ერთ-ერთმა ლიდერმა.

ილონა ლოლაშვილის ფოტო

ამიერიდან კობა დავითაშვილს ყველა შეკითხვაზე აქვს პრეზიდენტის პასუხი - "რატომაც არა?!"

დუისში ომბუდსმენის აპარატი მუშაობს

სოფელ დუისში სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ავთანდილ და ვახტანგ გუმაშვილების ცხედრები სამართალდამცველებმა ოჯახს მეორე დღეს, საღამოს გადასცეს. იმის გამო, რომ ავთანდილ გუმაშვილის საცხოვრებელი სახლი სპეცოპერაციისას დაიწვა, ორივე გარდაცვლილი ვაჰა გუმაშვილის სახლში დაასვენეს. მათი დასაფლავება, მუსულმანური წესის თანახმად, მზის ჩასვლამდე მოხდა. როგორც დუისის საკრებულოს გამგებელმა ჯარაფ ხანგოშვილმა განაცხადა, პანკისის ხეობაში მდგომარეობა სტაბილურია. ცხედრების მისვენების პროცესმა მშვიდად ჩაიარა და არანაირ გართულებას ადგილი არ ჰქონია.

გავრცელებული ინფორმაციით, დუისელები, მომხდარის გამო, საპროტესტო აქციებს გეგმავენ. მანამდე კი სახალხო დამცველის აპარატი პანკისის ხეობის სოფელ დუისში სამართალდამცველების მიერ 3 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციის კანონიერების საკითხს სწავლობს. სახალხო დამცველის წარმომადგენლის, მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსის, გიორგი ონიანის განცხადებით, უწყება ამ ეტაპზე ყველა საჭირო ინფორმაციასა და ვიზუალურ მასალას აგროვებს იმის გასარკვევად, დაფიქსირდა თუ არა სამართალდამცველების მხრიდან სპეცოპერაციის დროს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. ონიანმა საკითხის სრულად შესწავლამდე ფაქტების წინასწარი შეფასებისგან თავი შეიკავა.

ინტერპრესი

ამოკლედ

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად რუსეთის მოქალაქე მოროზოვი დაინიშნა

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტმა გუშინ პრემიერ-მინისტრის პოსტზე რუსეთის მოქალაქე იური მოროზოვი დანიშნა.

ოსმა პარლამენტარებმა იური მოროზოვი პრემიერ-მინისტრად დე-ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის წარდგინებით, ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

მოროზოვი სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში რუსეთიდან ჩამოყვანილი ერთადერთი კადრი არ არის. დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს უკვე მესამე წელია, რუსი გენერალი ანატოლი ბარანკევიჩი ხელმძღვანელობს. რაც შეეხება უშიშროების სამინისტროს, ამ უწყებაში ასევე მრავლად მუშაობენ თავის დროზე რუსეთის უშუშროების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მოღვაწე ოფიცრები. **ინტერპრესნიუსი**

რესპუბლიკური ინსტიტუტი გავრცელებულ ცნობას უარყოფს

USAID-ის დაფინანსებით საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა. საქართველოს 1,493 გამოკითხულ მოქალაქეთა 86 პროცენტს სჯერა, რომ აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტები მხოლოდ მოლაპარაკებებითა და მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს.

ცნობილია, რომ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვა გაშუქდა ქართული და რუსული მედიით. მათი ინფორმაციით, რესპონდენტთა 46 პროცენტმა თითქოს კონფლიქტების ძალისმიერ მოგვარებას დაუჭირა მხარი.

ინსტიტუტი ამ ცნობას უარყოფს. მისი მოხსენების თანახმად, "საჭიროების შემთხვევაში" ძალის გამოყენებას გამოკითხულთა მხოლოდ 10 პროცენტმა დაუჭირა მხარი, ხოლო 4 პროცენტმა აზრის გამოხატვისგან თავი შეიკავა. **მედიანიუსი**

რუსეთის დელეგაცია გიორგი ხაინდრავასთან შეხვედრით კმაყოფილია

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ გუშინ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე იური ზუბაკოვთან და რუსეთის განსაკუთრებულ დავალებათა ელჩთან ვალერი კენიაკინთან, რომელიც შერეულ საკონტროლო კომისიაში რუსეთის მხარეს წარმოადგენს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები სამუშაო შეხვედრაზე განიხილა.

მხარეთა წარმომადგენლები ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ხვალისთვის ცხინვალში დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილავენ, რის შემდეგაც მოლაპარაკებები თბილისში გაგრძელდება.

იური ზუბაკოვმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გამართული "პროფესიონალური და გულწრფელი საუბრის" გამო კმაყოფილება გამოთქვა. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მხარეებმა კონფლიქტის მოსაგვარებლად ბევრი რამ გააკეთეს, კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების მოსაწესრიგებლად გასაკეთებელი ბევრია.

ხაინდრავას თქმით, ქართულმა მხარემ თბილისში ვიზიტად მყოფ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ცხინვალის რეგიონისათვის ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა უსაყვედურა და ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა ქართული მხარის პოზიცია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში კრიმინალური ჯგუფების თარეშის მოთმენას არ აპირებს და ოსური მხარისაგან უგზო-უკვლოდ დაკარგული საქართველოს 5 მოქალაქის მოძიების საქმეში ქართველ სამართალდამცავებთან თანამშრომლობას ელის. **ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას კოდორის ხეობის მისადგომებთან აფხაზური სამხედრო ქვედანაყოფების გააქტიურების შესახებ. როგორც თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური იუწყება, სამხედრო უწყება ამგვარ ინფორმაციას არ ფლობს და არ არის გამორიცხული, რომ "დეზინფორმაციის გავრცელება პროვოკაციას უკავშირდებოდეს". კოდორის ხეობაში ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის დაშორიშორების ზონაში, სოფელ ქვაფჩარასთან აფხაზური სამხედრო შენაერთის თავმყრის შესახებ ინფორმაცია სამხედრო ქვედანაყოფ "მონადირის" უფროსის ყოფილმა მოადგილემ, მაიორმა ზურაბ გერლაიანმა გაავრცელა. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის წარდგენის საკითხს განიხილავს. პარტიის წარმომადგენლები კონსულტაციებს "კონსერვატორებთან" და "ახალ მემარჯვენეებთან" მართავენ. ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის დასახელების იდეა კონსერვატიულ პარტიას ეკუთვნის. მათი წინადადება ჯერჯერობით მხოლოდ "ახალმა მემარჯვენეებმა" მიიღეს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოჭიდავეები და მათი გულშემატკივრები წინასწარ პატიმრობაში არიან

ჰირველი გვერდიდან

სამაგიეროდ, მათი განცხადებით, ბოლო პერიოდში უამრავი ადამიანი გამოჩნდა, რომლებიც დაზარალებულად ცნობილ იორდანოს თანხის გამოძალვასა და თაღლითობაში ამხელენ, მაგრამ სამართალდამცველები მას ხელს აფარებენ და მის მიმართ არანაირ სამართლებრივ რეაგირებას არ ახდენენ.

რეაგირება უკვე მომხდარია იმ 13 ადამიანის მიმართ, რომლებმაც მოჭიდავეთა მხარდასაჭერად პროტესტი გამოთქვეს და სასამართლოს დარბევით კანონი მართლაც დაარღვიეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დარბევისა და რუსთაველის გადაკეტვის გამო, დაკავებულ ხუთ მოქალაქეს - გიორგი საურს, კარლო კუბლაშვილს, დიმიტრი ტურაშვილს, ბადრი გოგიასა და იმედა ზურაბიშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ორი მათგანი - ბადრი გოგია და იმედა ზურაბიშვილი სამართალდამცველებმა რუსთაველის გამზირზე ინციდენტისას, 30 ივნისს დააკავეს, დანარჩენები კი 2 ივლისს - სასამართლოში გადაღებული კადრების შესწავლის შემდეგ. როგორც თბილისის შს მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსმა ემზარ ღარიბაშვილმა განაცხადა, დაკავებულებს ბრალი ორი ეპიზოდში აქვთ წაყენებული - სასამართლოს დარბევისა და ჯგუფური მოქმედებისათვის, რაც მაგისტრალური გზის გადაკეტვით გამოიხატა.

რუსთაველის გამზირის გადაკეტვისთვის დაკავებული რვა პირი თბილისის საქალაქო სასამართლომ 1 ივლისს, ადმინისტრაციული წესით, უკვე გაასამართლა და 3-დან 8 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯა. ერთი მათგანი კი, რომელიც არასრულწლოვანია, 10 ლარით დააჯარიმა და გაათავისუფლა.

24 საათი

თეა თუთბერიძე შოთა კოპაძის წინააღმდეგ ახალ ფაქტებს ასახელებს

ჰირველი გვერდიდან

ამასთან დაკავშირებით თბილისის N1 საპყრობილესთან მან გუშინ პრესკონფერენციაც გამართა. მისი განცხადებით, დაახლოებით, ერთი კვირის განმავლობაში თბილისის N1 საპყრობილესა და ქსნის კოლონიაში ორმა პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო, ხოლო ორი დღის წინ ე.წ. კანონიერმა ქურდმა, მეტსახელად "წრიპამ", სამეურნეო ნაწილში მყოფ ერთ-ერთ პატიმარს სასტიკად სცემა.

"გარდა ამისა, თბილისის N7 საპყრობილეში წინასწარ პატიმრობაში იმყოფება ამავე საპყრობილის უფროსის მოადგილე ვარდოსანიძე, რომელიც დაპატიმრებულია ომბუდსმენის წარმომადგენელი გიორგი ონიანისთვის დროებით თავისუფლების შეზღუდვის ბრალდებით. ვარდოსანიძე უნდა იყოს გადაყვანილი არა იქ, სადაც მუშაობდა, არამედ სულ სხვა დაწესებულებაში, რადგან, ამ შემთხვევაში, ვარდოსანიძე პრივილეგირებულ მდგომარეობაშია. ეს კი პატიმრების არათანაბარ სიტუაციაში ჩაყენების ფაქტად აღიქმება", – ასეთი პოზიცია აქვს თეა თუთბერიძეს.

მისივე თქმით, ამ და სხვა პრობლემების გამო, ჩანს, რომ დღეს საპყრობილეებს და ციხეებს ე.წ. კანონიერი ქურდები აკონტროლებენ და მათ ციხის ადმინისტრაცია ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევს.

"როგორც ჩანს, იმდენად კარგი ურთიერთობა აქვთ ქურდებსა და კოპაძეს, რომ აქ უკვე ციხის ადმინისტრაცია არაფერს წარმოადგენს", - აღნიშნა მან.

არასამთავრობოების განცხადებებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე არ გამოხმაურებია და, აქედან გამომდინარე, არც გაუპროტესტებია.

24 საათი

გამომძიებლების ბედს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტს

რევოლუციის პერიოდში დაკავებული აჭარელი სტუდენტების საქმეს თავიდანვე მიეცა პოლიტიკური შეფასება. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს სამართალდამცველები, რომლებმაც სტუდენტები წინასწარ პატიმრობაში არ დატოვეს. მიუხედავად ამისა, დღემდე სადავოდ რჩება მათი ბედი. დღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის ყოფილი უფროსის ზაზა მესხის, გამომძიებლების მამუკა მდინარაძისა და გიორგი ძიძიგურისათვის თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის კანონიერებაზე იმსჯელებენ. გამომძიებლები 2004 წლის მარტში დააკავეს და ისინი სამსახურებრივ გულგრილობაში დაადანაშაულეს. კონკრეტულად კი, იმის გამო, რომ მათ ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს დაკავებული ბათუმელი სტუდენტები - ლაშა ჩახვაძე და მერაბ მიქელაძე.

სტუდენტებს იარაღის უკანონო ტარებაში ედებოდათ ბრალი. ჩახვაძისა და მიქელაძის დაპატიმრება იმ პერიოდში ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის რეგიონს შორის დაპირისპირების კონტექსტში განიხილებოდა. სტუდენტთა მომხრეთა განცხადებით, ეჭვმიტანილებს ცეცხლსასროლი იარაღი "ჩაუდეს" და პოლიტიკური მოტივით დააკავეს.

ბრალდებული გამომძიებლები დაკავებიდან ორ კვირაში გაათავისუფლეს. თუმცა, სისხლის სამართლებრივი დევნა მათ მიმართ მხოლოდ 2005 წლის 31 იანვარს შეწყდა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენით.

აღნიშნული განაჩენი უზენაეს სასამართლოში პროკურატურამ გაასაჩივრა.

24 საათი

რუსეთის ბანკებში აფხაზეთის ბანკების ანგარიში არ გაყინულა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ნაციონალური ბანკის თავმჯდომარე ილარიონ არგუნი უარყოფს ქართული მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას რუსეთის კომერციულ ბანკებში აფხაზეთის ბანკების ანგარიშების გაყინვის შესახებ.

"რუსეთის კომერციულ ბანკებში აფხაზური ბანკების ანგარიშები შენარჩუნებულია," - აცხადებს ილარიონ არგუნი, რომლის თქმით, მიუხედავად ქართული მხარის მოთხოვნისა, რუსეთის კომერციულ ბანკებში აფხაზეთის ბანკების ანგარიშების შესაძლო დახურვასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა მოხსნილია.

"აფხაზეთის ბანკებისათვის რუსეთის ბანკებთან თანამშრომლობა არავის აუკრძალავს, ვინაიდან ეს მათი უფლებაა," - აღნიშნავს არგუნი. არგუნი ასევე კატეგორიულად უარყოფს ქართული მხარის ბრალდებას აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის 50-ზე მეტი ბანკის არალეგალურ მოქმედებასთან და მათი საშუალებით აფხაზეთში სხვადასხვა სახის ფინანსური მაქინაციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

იგი "აბსურდულს" უწოდებს ქართული მხარის წინანადებას აფხაზეთის ბანკების მიერ საქართველოს ბანკებში ანგარიშების გახსნის შესახებ. **"ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს,"** - აცხადებს ილარიონ არგუნი. საქართველოს ნაციონალური ბანკის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ რუსეთის ხელისუფლებისაგან რუსეთის კომერციულ ბანკებში აფხაზეთის კომერციული ბანკების ანგარიშების დახურვა მოითხოვა, მაგრამ როგორც ირკვევა, რუსული მხარის მტკიცების მიუხედავად, მოსკოვმა თბილისის მოთხოვნა ამჯერადაც არ გაითვალისწინა.

24 საათი

იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები პროკურატურა ურთიერთდახმარებაზე თანხმდებიან

უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის რეფორმის პროცესში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2 ივლისს გაფორმდა მემორანდუმი, რომელზეც ხელი მოაწერეს, ერთი მხრივ, იუსტიციის სამინისტროსა და, მეორე მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სასამართლოს წარმომადგენლებმა. საქართველოს კონსტიტუციით დაცვის უფლება გარანტირებულია, თუმცა იურიდიული დახმარების დღეს არსებული სქემა რეალურად ვერ უზრუნველყოფდა სოციალურად დაუცველ მოქალაქეთათვის დაწესებული ამ გარანტიის აღსრულებას. სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ამოცანის რეალურად გადაჭრის მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ პარტნიორ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შექმნა საზოგადოებრივი ადვოკატურის სამოდელო ბიუროები (თბილისის გლდანი-ნაძალადევისა და ზესტაფონის რაიონში).

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატურის სამსახურის უფროსმა თამთა ქოჩაკიძემ მხარეებს მემორანდუმის პირობები და ადვოკატთა კომპეტენციის ფარგლები გააცნო. შსს-ს, პროკურატურისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა კრიტიკულად მიმოიხილეს სამართებლივი დახმარების სფეროში არსებული რეალური მდგომარეობა. მათ აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი ადვოკატურის მიერ გამართული მუშაობა მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებისთვის სასარგებლო იქნება და შეთანხმდნენ, რომ მჭიდროდ ითანამშრომლებენ საქართველოში საყოველთაო უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის რეფორმირების პროცესში.

მედიანიუსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

"ჯგუფი ბანკი ქართუ"-ს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ბანკი ქართუ
CARTU BANK

მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ..№39ა

ტელეფონი: 230021; ფაქსი 221519

ელ-ფოსტა: cartubank@cartubank.ge ;
ვებ-გვერდი: www.cartubank.ge

ბანკი ქართუს აქციონერთა სია:

აქციონერის დასახელება	პროცენტული წილი სანესტებო კაპიტალში
1. ს/ს "ქართუ ჯგუფი"	25%
2. ს/ს "ინტერსერვისი"	25%
3. ს/ს "ტრანსინვესტი"	25%
4. ს/ს "იაგუნდი"	25%

Deloitte.

ჩვენ ჩავატარეთ "ჯგუფი ბანკი ქართუ"-ს ("ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული ბალანსის აუდიტი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისთვის. წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოვალეობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

უპირობო დასკვნის საფუძველზე ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ჯგუფის სამომავლო საქმიანობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ხელისუფლების სამომავლო ეკონომიკურმა პოლიტიკამ, როგორც ეს აღწერილია 25-ე შენიშვნაში.

7 მაისი 2005 წ

Deloitte & Touche

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებული ბალანსი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში)

	2004	2003
აქტივები		
ნაღდი ფული და ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	21,819	10,920
სესხები და ავანსები გაცემული ბანკებზე, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის გამოკლებით	25,570	21,804
სესხები და ავანსები გაცემული კლიენტებზე, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის გამოკლებით	115,900	63,865
გასაყიდად გარკვეული ფასიანი ქაღალდები	23,270	
ინვესტიციები	92	2,651
გირავნად, დაგროვილი პროცენტის გამოკლებით	11,613	12,324
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები დაგროვილი ცვეთის გამოკლებით	5,229	3,355
სხვა აქტივები, შესაძლო დანაკარგების რეზერვის გამოკლებით	2,178	1,836
სულ აქტივები	**205,671**	**116,755**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
ვალდებულებები:		
ბანკებიდან მიღებული დეპოზიტები	483	9,524
კლიენტთა ანგარიშები	65,661	51,968
გადასახადო ვალდებულებები	166	
სხვა ვალდებულებები	707	1,466
	67,017	62,958
სუბორდინირებული სესხები	79,670	7265
სულ ვალდებულებები	**146,687**	**70,223**
უმცირესობის წილი	754	848
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	42,088	30,128
გაუნაწილებელი მოგება	16,142	15,556
სულ საკუთარი კაპიტალი	**58,230**	**45,684**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**205,671**	**116,755**
პირობითი ფინანსური ვალდებულებები	12,993	12,793

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებული მოგება - ზარალის ანგარიში 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში)

	2004	2003
პროცენტული შემოსავლები	8168	6818
პროცენტული ხარჯები	(2464)	(1595)
წმინდა პროცენტული შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ალდგენამდე(შეფარდებამდე)	5704	5223
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის აღდგენა/(ფორმირება)	(2301)	387
წმინდა პროცენტული შემოსავალი	3403	5610
შემოსავლები მომსახურებიდან და მიღებული საკომისიოები	3844	2855
მომსახურების ხარჯები და გადახდილი საკომისიოები	(1338)	(916)
წმინდა (ზარალი)/ მოგება უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან	(1484)	802
წმინდა მოგება გასაყიდად გარკვეული ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან	2935	
წმინდა მოგება საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან	442	247
სხვა შემოსავლები	2666	3242
წმინდა არაპროცენტული შემოსავლები	7065	6230
საოპერაციო შემოსავლები	10468	11840
საოპერაციო ხარჯები	(8721)	(8199)
მოგება სხვა ოპერაციების შესაძლო დანაკარგების რეზერვის (შეფარდებამდე)/ალდგენამდე, მოგების გადასახადის გადახდამდე და უმცირესობის წილის გაანგარიშებამდე	1747	3641
სხვა ოპერაციების შესაძლო დანაკარგების რეზერვის (ფორმირება)/აღდგენა	98	(1393)
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე და უმცირესობის წილის გაანგარიშებამდე	1845	2248
მოგების გადასახადი	(1353)	(710)
წმინდა მოგება უმცირესობის წილის გაანგარიშებამდე	492	1538
უმცირესობის წილი	94	(18)
წმინდა მოგება	586	1520

უცხოეთი

ჰუტინის, შირაკისა და შრიოდერის „პოლიტკორექტული" ხუმრობა

ვირველი გვერდიდან

რაზე შეიძლება იხუმრონ პუტინმა, შირაკმა და შრიოდერმა "სამთა კავშირის" სამიტზე, რომელიც კალინინგრადში გაიმართა ქალაქის 750 წლისთავის აღსანიშნავად? როგორც ფრანგული "ლიბერასიონი" აღნიშნავს - რა თქმა უნდა, ინგლისელებზე!

თავის რუს და გერმანელ მეგობრებთან ერთად ტერასაზე მჯდარმა შირაკმა, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული იყო, რამდენიმე ჟურნალისტი იქვე იმყოფებოდა და მის საუბარს უეჭველად ყურს უგდებდა, ინგლისელთა ხასიათზე და სამზარეულოზე დაიწყო ხუმრობა.

"**ერთადერთი რამ, რაც ინგლისელებმა ევროპის სოფლის მეურნეობას მისცეს - საქონლის ცოფია**, - ასე დაიწყო პრეზიდენტმა შირაკმა თავისი კოლეგების გაფრთხილება, - **არ შეიძლება ენდო ისეთ ხალხს, რომელსაც ასეთი ცუდი სამზარეულო აქვს.**"

"**დიდი ბრიტანეთი ფინეთის შემდეგ მეორე ქვეყანაა, სადაც ყველაზე ცუდად ჭამენ,**" - განაგრძო საფრანგეთის პრეზიდენტმა.

როგორც ჩანს, რუსეთის პრეზიდენტს ფრიად ესიამოვნა "მეგობარი" ფრანგის გამონათქვამები და შეეცადა, ამერიკელებზეც დაეცდენინებინა მისთვის რამე. "**ჰამბურგერები?**" - იკითხა პრეზიდენტმა პუტინმა. "**არა, ჰამბურგერს კიდევ რა უშავს,**" - უპასუხა თავის რუს კოლეგას შირაკმა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა პუტინსა და შრიოდერს უამბო, თუ როგორ გაასინჯა შოტლანდიელმა ლორდმა რობერსტონმა, ნატო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა მას "ნაკლებად გემრიელი" შოტლანდიური კერძი. "**სწორედ მას შემდეგ გართულდა ნატო-სა და ჩვენს შორის ურთიერთობები...**" - დაასრულა ჟაკ შირაკმა.

საუბრის თემის შეცვლის მიზნით, გერმანიის კანცლერმა აღნიშნა, რომ რუსებსა და ფრანგებს 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის შეუძლიათ გააერთიანონ თავიანთი კანდიდატები. "**დიახ, თუკი მოსკოვი გაიმარჯვებს, შეგვიძლია საერთო პროექტი შევიმუშაოთ,**" – თანხმობა განაცხადა პრეზიდენტმა შირაკმა. "**ოჰ, ეს ფრანგები!**" – თქვა პუტინმა, რომელიც გერმანულად ესაუბრებოდა შრიოდერს. "**დიახ, ფრანგები ასეთები არიან**, - დაუდასტურა გერმანიის კანცლერმა, - **ევროკავშირში ჩემი თანხებით კომპრომისებზე ეგენი მიდიან**". "**მე ფულს იქიდან ვიღებ, სადაც არის,**" - სიცილით უპასუხა პრეზიდენტმა შირაკმა.

ამ საუბრის შემდეგ პუტინმა, შირაკმა და შრიოდერმა დახურულ კარს მიღმა განიხილეს დიდი რვიანის სამიტზე განსახილველი საკითხები. ამ საუბრისას ლიტვისა და პოლონეთის პრეზიდენტების უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ისინი ვლადიმირ პუტინმა კალინინგრადის 750 წლისთავის აღსანიშნავად არ მიიწვია, პრეზიდენტმა შირაკმა და გერმანიის კანცლერმა უკომენტაროდ დატოვეს. მათმა რუსმა კოლეგამ კი განაცხადა, რომ "ეს რუსეთის საშინაო პოლიტიკაა".

რაც შეეხება შრიოდერს, მან "მადლიერება" გამოხატა პრეზიდენტი პუტინის მიმართ. "**კალინინგრადის უნივერსიტეტისთვის გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის სახელის მინიჭება რუსეთის მხრიდან გერმანიის მიმართ გამოცხადებული ნდობის კიდევ ერთი დასტურია,**" - აღნიშნა გერჰარდ შრიოდერმა. საინტერესოა, სინამდვილეში რას გრძნობდა კანცლერი შრიოდერი, როცა მას აღმოსავლეთ პრუსიის დედაქალაქში რუსი ლიდერი უწევდა მასპინძლობას.

საგულისხმოა, რომ დღეს შოტლანდიაში, გლენიგლსის ციხესიმაგრეში ბრიტანულ სამზარეულოზე აგდებულად მოსაუბრე შირაკს სწორედ ადგილობრივი კერძებით მოუწევს ვახშმობა; ალბათ, შოტლანდიურ საჭმელს დემონსტრაციულად ვერ დაინუნებს – ეს ხომ უკვე დიპლომატიური სკანდალის მიზეზი იქნება.

მოამზადა თიკო მაჭარაშვილმა

„შანხაის კლუბი"

აზიელი მმართველები სხვისი დახმარების გარეშე აპირებენ საკუთარი რეგიონის მართვას.

"დიდი რვიანის" სამიტამდე ერთი დღით ადრე შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციამ "ფერადი რევოლუციებისა" და ცენტრალურ აზიაში განლაგებულ აშშ-ს ანტიტერორისტულ დანაყოფთა წინააღმდეგ უკმაყოფილო განცხადებებითა და მიმართვებით სავსე სამიტი გამართა. შეკრების მონაწილე ქვეყანათა ლიდერებმა ბუშს რეგიონიდან სამხედრო დანაყოფთა გაყვანის ვადების სასწრაფოდ დაზუსტება მოსთხოვეს. აშშ-ს პრეზიდენტს ამ მოწოდებაზე ჯერ რეაგირება არ მოუხდენია.

ნანა ნასყიდაშვილი

ინდოეთმა, პაკისტანმა და ირანმა "შანხაის თანამეგობრობის ორგანიზაციის" ფარგლებში დამკვირვებლის სტატუსი მიიღეს. ამის შესახებ ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულტან ნაზარბაევმა განაცხადა. აღნიშნულ ორგანიზაციაში ჩინეთთან და რუსეთთან ერთად ოთხი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაა გაწევრიანებული: უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და ყაზახეთი. შანხაის თანამეგობრობის ორგანიზაციამ ცენტრალურ აზიაში სტაბილურობის დამყარება და ტერორიზმთან ბრძოლა დაისახა მიზნად. ყაზახეთში გამართულ სამიტზე ორგანიზაციამ დეკლარაცია მიიღო, რომელიც რეგიონში სამართლიანი და რაციონალური წყობილების დამყარებაზეა გათვლილი.

"შანხაის კლუბმა" აშშ-ს ცენტრალურ აზიაში განლაგებული სამხედრო ბაზების გაყვანის თარიღის დასახელება მოსთხოვა. აღნიშნული სამხედრო დანაყოფები აშშ-მ 2001 წელს ავღანეთში მიმდინარე საომარი ოპერაციების დროს განათავსა. **"შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ მათი ქვეყნების ტერიტორიაზე განთავსებულმა ანტიტერორისტული კოალიციის ხელმძღვანელობამ რეგიონიდან სამხედრო დანაყოფთა გაყვანის თარიღი უნდა დაასახელოს,**" - აღნიშნულია ორგანიზაციის დეკლარაციაში.

დიდი რვიანის სამიტის გახსნამდე ერთი დღით ადრე და ბუშთან პირადად შეხვედრამდე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი ჰუ ძინტაო აშშ-ს მისამართით გაკეთებულ მიმართვაში რეგიონის სხვა ლიდერებს შეუერთდნენ. **"ანტიტერორისტული კოალიციის ხელმძღვანელობას რეგიონის დატოვებას ხვალ, ერთ თვეში ან წელიწადნახევრის განმავლობაში არავინ სთხოვს; უბრალოდ, ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა სამხედროთა რეგიონიდან გასვლის ზუსტი თარიღი უნდა იცოდნენ,**" - აცხადებს ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი.

აღნიშნულ სამიტზე პარტნიორ სახელმწიფოთა ლიდერებმა დასავლეთის პოლიტიკის მიმართ თავიანთი უკმაყოფილება ნათლად გამოხატეს. ჰუ ძინტაოსა და ისლამ კარიმოვის ბრალდებებს, უცხო ქვეყნის სამხედრო დანაყოფთა მიზეზით რეგიონში არსებული დესტაბილიზაციის შესახებ, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა კრიტიკული გამოსვლებიც მოჰყვა. **"ცენტრალური აზიაში მცხოვრებ ხალხს საკუთარი ბედის წარმართვის უფლება მხოლოდ თავად აქვს. ის საკმაო გამოცდილებასა და დამოუკიდებლობას ფლობს იმისთვის, რომ საკუთარი სახლს უპატრონოს,**" - აღნიშნა ჩინეთის ლიდერმა. ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ მიმართვაზე ბუშს რეაგირება ჯერ არ მოუხდენია.

რუსული პრესის მიერ გავრცელებული დაუზუსტებელი ინფორმაციის თანახმად, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ-ქვეყანათა ლიდერებს არაოფიციალურ შეხვედრაზე "ფერადი რევოლუციების" შესახებაც ჰქონდათ საუბარი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ერთ-ერთი ასეთი რევოლუციის ლიდერი, დღეისთვის ყირგიზეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, კურმანბეგ ბაკიევი აღნიშნულ სამიტს თავად ესწრებოდა. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყანათა ლიდერებს მან ახალ რეალობასთან შეგუებისკენ მოუწოდა.

სამიტის მონაწილე უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა კოლეგები ცენტრალურ აზიაში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ გააფრთხილა. კარიმოვის თქმით, საქმე წინასწარ შემუშავებულ, სტრატეგიულ გეგმას ეხება, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს, გარკვეული ძალების სასარგებლოდ, ცენტრალურ აზიაში პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების განხორციელება. ხმაურიანი განცხადების მიუხედავად, კარიმოვს ცენტრალური აზიის წინააღმდეგ მიმართული გეგმის შემსრულებელი არ დაუსახელებია. თავის გამოსვლაში უზბეკეთის პრეზიდენტმა რუსეთსა და ჩინეთს მადლობა გადაუხადა ანდიჟანში მაისში დატრიალებული მოვლენების დროს აღმოჩენილი დახმარებისთვის.

სამიტის მიმდინარეობის დროს ცნობილი გახდა, რომ ყაზახეთში ადამიანის უფლებათა დამცველი ლუტფულო შამსიდინოვი დაკავეს. ორგანიზაცია Human Rights Watch-ის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, დაკავებული მაისში ანდიჟანში მომხდარი მოვლენების შესახებ დამოუკიდებელ გამოძიებას ატარებდა. ორგანიზაციის თქმით, შამსიდინოვის უზბეკეთში ექსტრადირება კანონიერი არ იქნება, რადგანაც ლუტფულო შამსიდინოვს გაერო-ს მიერ დევნილის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ლევან ბერძენიშვილი: „გავაკეთე უფრო მკაცრი განცხადებები, ვიდრე ამას აღნიშნული ინციდენტი იმსახურებდა"

ვირველი გვერდიდან

- როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში 30 ივნისის ინციდენტის შემდეგ?

- ძირითადი აქცენტი იყო ის, რომ უზნეობას, ძალადობას აქვს დასასრული. სახელმწიფოს მხრიდან უნდა დასრულდეს ძალადობა - ეს იქნება სიტყვიერი, ფიზიკური თუ ა.შ. ამ ძალადობამ სერიოზულ კრიზისამდე მიგვიყვანა პარლამენტში.

- ოპოზიციონერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 30 ივნისს ხელისუფლებამ თავად მოახდინა აურზაურის პროვოცირება და საზოგადოების ყურადღება მოჭიდავეთა საქმეზე გადაიტანა, რათა მეორე დღეს პარლამენტს უპრობლემოდ მიეღო კანონპროექტი "თბილისის შესახებ". თქვენ იზიარებთ ამ ეჭვს?

- დიახ, სამწუხაროდ, მეც მაქვს ასეთი ფიქრი, თუმცა ასი პროცენტით დარწმუნებული არ ვარ. კანონპროექტი "თბილისის შესახებ" დღეს აღარავის ახსოვს, რადგან პარლამენტში გაცილებით უფრო საინტერესო სანახაობა გაიმართა გლადიატორული ბრძოლების სახით.

- ბატონო ლევან, შალვა ნათელაშვილთან ერთად ერთ ტრიბუნაზე რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს?

- მართალი გითხრათ, სად დამინახეთ ნათელაშვილთან ერთ ტრიბუნაზე, არ ვიცი, მაგრამ, ცხადია, ვიცი, რასაც მეკითხებით. ერთ რამეს გეტყვით, ზუსტად ასეთივე არაკომფორტულ სიტუაციაში ბევრჯერ ვყოფილვარ. ჩვენ ვიყავით ირინა სარიშვილთანაც პოლიტიკურ ალიანსში. მე ვცხოვრობ ისეთ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობს გიგა ბოკერია. ბოკერიასთან ერთადაც ვიყავი... კომფორტულად თავს არ ვგრძნობდი არსად... შალვა ნათელაშვილთან პოლიტიკურ ალიანსში "რესპუბლიკელები" არ ვართ. თუმცა, კარგად გვესმის, რომ როდესაც პოლიტიკაში ვართ, რეალობის თვალსაზრისით უნდა შევძლოთ ლაპარაკი ყველასთან – შალვასთანაც, გიგასთანაც, მიშასთანაც, ნუგზართანაც და ჯუმბერთანაც... ეს აუცილებლობაა. ამიტომ, მართალი გითხრათ, განსაკუთრებული "კოშმარები", იმის გამო, რომ, არიქა, ახლა მე და შალვა თანამოაზრეები გავხდით-მეთქი, არა მაქვს.

- დღევანდელი ქართული ოპოზიციის გაერთიანების პერსპექტივა რამდენად რეალურია?

- საპარლამენტო ოპოზიცია რომ კარგად ითანამშრომლებს, ეს სავსებით რეალურია. მთელი ოპოზიციის გაერთიანება კი ყოველთვის არარეალური იყო და დღესაც არარეალურია.

ფოსტა

ღია წერილი ბატონ ლევან ბერძენიშვილს

თვით სამაგალითო შეუვალი ლოგიკის პატრონი სოკრატეც კი ვერანაირ არგუმენტს ვერ გამონახავდა თქვენს დასაცავად, როდესაც თქვენმა პატივისმცემლებმა გიხილეს შალვა ნათელაშვილთან, დავით გამყრელიძესთან, ბეჟან გუნავასა და მალხაზ გულაშვილთან ერთად. ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ ზემოხსენებული ლიდერები ცუდები ან კარგები არიან, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ისინი, უბრალოდ, თქვენგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივად არ აზროვნებენ. "მე მჯერა", რომ სოკრატე დანანებით, საკუთარი ხელით "ამოგშლიდათ" იმ უამრავ მოწაფეთა და თაყვანისმცემელთა სიიდან, რომელსაც ადრე თქვენც განეკუთნებოდით.

როდესაც თქვენ "კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის" კლასიფიკაციით აფასებთ ეგზალტერებული და ამის გამო საღი აზროვნების უნარს მოკლებული ხალხის მიერ რუსთაველის გამზირის გადაკეტვის აღკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ ადეკვატური ზომების მიღებას, ამით თქვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, მომიტევეთ მკაცრი სიტყვების გამო, დანაშაულს ჩადიხართ იმ მილიონობით ადამიანის ნათელი ხსოვნის წინაშე, რომელიც მართლაც "კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის" მსხვერპლნი არიან. მაშ, რა სიტყვები უნდა ვიხმაროთ, რა კატეგორიებით შევაფასოთ ინკვიზიციის მსხვერპლთა, საკონცენტრაციო ბანაკებში გაგუდულ ებრაელ ბავშვთა, ჩეჩენი ერის გენოციდი? მაშ, რაღა ვუწოდოთ ჩვენი ისტორიის ტრაგიკულ მოვლენებს, 9 აპრილს განვითარებულს, თუ არა დანაშაული კაცობრიობის წინაშე. როგორ შეიძლება, ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ კაცობრიობის ისტორიის თავზარდამცემი ამბები და რუსთაველის გამზირზე, ესოდენ სპონტანურად აფეთქებული (შეიძლება ვინმეს მიერ საგანგებოდ ინსპირირებული კი) მოვლენები, რომელთაც, საბედნიეროდ, არ მიეცათ შემდგომი ესკალაციის შესაძლებლობა?

და კიდევ ერთი – ნუ დაემსგავსებით პერიკლეს დროის კომედიოგრაფებს, რომლებმაც ვერ გაუძლეს და დაამახინჯეს კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარი "ისეგორია" – (სიტყვის თავისუფლება), ამას მაფიქრებინებს ამ ბოლო დროს თქვენი და თქვენ ძმის შეფასებები მოვლენებისა და ადამიანებისა (ერთ უჯრედიანი შიზოფრენიკი, დუმმორეული და ა.შ.).

ვშიშობ, უნებურად თქვენ არ გახდეთ მსხვერპლი თქვენთვის ესოდენ ძვირფასი "სიტყვის თავისუფლებისა".

მე თვითონ წიგნიერ ოჯახში გახლავართ გაზრდილი და ძალიან კარგად ვიცი განათლებისა და წიგნის ფასი. "მე მჯერა" – ყოველ შემთხვევაში მინდა მჯეროდეს, რომ განათლებული ადამიანი უფრო კაცთმოყვარეა, მეტად მიმტევებელი და ნაკლებად აგრესიული.

სულ ბოლოს ისევ სოკრატეს სიტყვები: "უსამართლობის მსახურება არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები, მაშინაც კი, როდესაც ეს უსამართლობა პასუხია შენ მიმართ სხვის მიერ ჩადენილ უსამართლობაზე".

პატივისცემით,
მაია გურაბანიძე

სს "საქართველოს ბანკი" ივნისში მნიშვნელოვანი შედეგების და 2005 წლის მეორე კვარტლის შედეგების შესახებ იუწყება

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

მთლიანი საოპერაციო შემოსავალი 12.8 მილიონ ლარს გაუტოლდა, 1.9 მილიონი ლარით ანუ 17.9%-ით გაიზარდა 2005 წლის პირველ კვარტალთან შედარებით (წლიური ზრდა 11.0%);

- ნორმალიზებული წმინდა საოპერაციო მოგება 6.4 მილიონ ლარს გაუტოლდა, 1.1 მილიონი ლარით ანუ 21.3%-ით გაიზარდა 2005 წლის პირველ კვარტალთან შედარებით (წლიური ზრდა 32.4%);

მოგება ბონუსებამდე 5.6 მილიონ ლარს გაუტოლდა, 2.7 მილიონი ლარით ანუ 89.1%-ით გაიზარდა 2005 წლის პირველ კვარტალთან შედარებით (წლიური ზრდა 71.4%);

- წმინდა მოგება 3.1 მილიონ ლარს გაუტოლდა, 0.8 მილიონი ლარით ანუ 36.5%-ით გაიზარდა 2005 წლის პირველ კვარტალთან შედარებით (ზლიური ზრდა 60.7%);

2005 წლის პირველი ნახევრის მგომარეობით საბაზისო მოგება ერთ აქციაზე 0.46 ლარს გაუტოლდა (ზრდა 2004 წლის პირველ ნახევარში არსებული 0.33 ლარიდან);

- 2005 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით შემცირებული მოგება ერთ აქციაზე 0.44 ლარს გაუტოლდა (ზრდა 2004 წლის პირველ ნახევარში არსებული 0.33 ლარიდან)

დღეს საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს "საქართველოს ბანკმა" (GSE:GEB) 2005 წლის ივნისის, 2005 წლის მეორე კვარტლის და 2005 წლის მეორე ნახევრის შედეგების შესახებ განაცხადა. "ბანკს 2005 წლის ივნისში კარგი შედეგები ჰქონდა, თვიური მოგება თვეში წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი იყო და 1,087,000 ლარი შეადგინა. აღნიშნული შედეგი გამოწვეული იყო იმით, რომ წმინდა საპროცენტო შემოსავალმა 2.8 მილიონი ლარი შეადგინა და არასაპროცენტო მოგებამ წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ თვიურ მაჩვენებელს 1.7 მილიონ ლარს მიაღწია. უკანასკნელი, თავის მხრივ, გამოწვეული იყო მაღალი წმინდა საკომისიო და მომსახურების შემოსავლით, დოკუმენტური ოპერაციებიდან მიღებული კარგი შედეგებით და ხაზინის მნიშვნელოვანი საქმიანობით - წმინდა შემოსავალმა უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 0.5 მილიონი ლარი შეადგინა, ეს ყველაზე მაღალი თვიური შედეგია. 2005 წლის განმავლობაში მთლიანმა საოპერაციო შემოსავალმა 4.5 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა და საოპერაციო ხარჯები 2.1 მილიონ ლარს გაუტოლდა, რის შედეგადაც ბანკის ნორმალიზებული წმინდა საოპერაციო შემოსავალი 2.4 მილიონ ლარს გაუტოლდა - ეს ამ წლის ყველაზე მაღალი თვიური შედეგია. მოგება ბონუსებამდე 1.9 მილიონ ლარს გაუტოლდა", აღნიშნა "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილემ, ***ირაკლი გილაურმა***.

ბანკის აქტივები 2005 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით 9 მილიონი ლარით გაიზარდა და 2005 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 365 მილიონი ლარი შეადგინა. წმინდა სესხები თითქმის 15 მილიონი ლარით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით და 217 მილიონი ლარი შეადგინა. დეპოზიტები 6.1 მილიონი ლარით გაიზარდა და 245.5 მილიონ ლარს გაუტოლდა. "ჩვენ მოხარული ვართ, რომ საკრედიტო პორტფელი ივნისის განმავლობაში პროპორციულად გაიზარდა, სამომხარებლო სესხები წინა თვესთან შედარებით 7.4 მილიონი ლარით, 90.2 მილიონ ლარამდე გაიზარდა 2005 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და მთლიანი პორტფელის ზრდის თითქმის ნახევარი შეადგინა. კლიენტების მხრიდან ჩვენი ახალი პროდუქტების პაკეტებზე (იპო+, ავტო+ და მიკრო სესხი+) დადებითი რეაქციის შედეგად იპოთეკური, სამომხმარებლო და მიკრო სესხების პორტფელი, შესაბამისად, 2.9 მილიონი ლარით, 1.4 მილიონი ლარით და 2.6 მილიონი ლარით გაიზარდა", განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ***ლადო გურგენიძემ.*** სააქციო კაპიტალი (საბალანსო ღირებულება) 59.9 მილიონ ლარს გაუტოლდა 2005 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ხოლოს ერთი აქციის საბალანსო ღირებულებამ 5.22 ლარი შეადგინა.

კვარტალურ ჭრილში წმინდა საპროცენტო მოგება 2005 წლის მეორე კვარტალში 20.6%-ით გაიზარდა, 8.4 მილიონ ლარამდე, რაც გამოწვეული იყო ბანკის საკრედიტო პროტფელის ზრდით და ბანკის მიერ წმინდა საპროცენტო მარჟის შენარჩუნებით მწვავე კონკურენციის მიუხედავად. არასაპროცენტო შემოსავალი 2005 წლის მეორე კვარტალში 13.0%-ით, 4.4 მილიონ ლარამდე გაიზარდა პირველ კვარტალთან შედარებით. მთლიანმა საოპერაციო მოგებამ 12.8 მილიონ ლარს გადააჭარბა 2005 წლის მეორე კვარტალში და პირველ კვარტალთან შედარებით 17.9%-ით გაიზარდა. საოპერაციო ხარჯები 2005 წლის მეორე კვარტალში 14.7%-ით გაიზარდა პირველ კვარტალთან შედარებით და 6.5 მილიონ ლარს გაუტოლდა. "ახლა, როდესაც დავამტკიცეთ, რომ ბანკს აქვს ზრდის უნარი ტრანსფორმაციის ამ ეტაპზე, 2005 წლის მესამე კვარტალში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ საოპერაციო ხარჯების ზრდის შეკავებაზე", აღნიშნა ***ირაკლი გილაურმა.*** ნორმალიზებული წმინდა საოპერაციო შემოსავალი, მოგება ბონუსებამდე და წმინდა მოგება 2005 წლის მეორე კვარტალში მკვეთრად გაიზარდა, შესაბამისად, 20.3%-ით, 89.1%-ით და 36.5%-ით 6.4 მილიონ ლარამდე, 5.6 მილიონ ლარამდე და 3.1 მილიონ ლარამდე.



"საქართველოს ბანკის" შესახებ:

სს "საქართველოს ბანკი" ქვეყანაში წამყვანი უნივერსალური ბანკია. მისი საბაზრო წილი სესხებში დაახლოებით 20.0%, ხოლო დეპოზიტებში 22.2%-ს შეადგენს. ბანკს გააჩნია სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრი, რომელთა გაყიდვა და გავრცელება ხდება ბანკის ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით. ბანკი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საინვესტიციო (კომპანია "გალტ & თაგგარტ სიქიურითის" მეშვეობით, რომელშიც "საქართველოს ბანკს" მნიშვნელოვანი სააქციო წილი აქვს) საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. ამასთანავე, ბანკის მიერ შესყიდული სადაზღვევო კომპანია "ბისიაი" ბაზრის 12%-იან წილს ფლობს. 2005 წლის 31 მაისის მდგომარეობით ბანკის აქტივებმა 356.0 მილიონი ლარი შეადგინა., ხოლო კაპიტალმა 60 მილიონი ლარი შეადგინა.

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

გურამ ოდიშარიას სვეტი

გასაუბრება 1998-2004 წლების დღიურთან

გაგრძელება

* რთულ პრობლემებს პოლიტიკოსები ვერასოდეს გადაწყვეტენ. რთულ პრობლემებს გადაჭრიან მხოლოდ შემოქმედებითი აზროვნებისა და ქმედების პოლიტიკოსები, ანუ ისინი, რომლებსაც სხვა სახელის არარსებობის გამო მაინც პოლიტიკოსებად მოვიხსენიებთ.
* არსებობს გამანადგურებელი გამარჯვებაც და ამღორძინებელი დამარცხებაც.
* რუსეთი კავკასიასთან არა მარტო გეოპოლიტიკით, არამედ კულტურითა და თავისი ლიტშედევრებითაცაა დაკავშირებული.
* ჩვენებმა გაიმარჯვეს! არა აქვს მნიშვნელობა, რაში გაიმარჯვეს, სად და როდის. მთავარია ეს ნახევრად უგონო: ჩვენებმა გაიმარჯვეს!
* მასმედიის ნარკოტიკი: გაზეთებს დღეს ასეთ რეკლამას უკეთებენ - იყიდეთ, იყიდეთ, ამ გაზეთში თქვენ წაიკითხავთ ინტრიგაზე, შანტაჟზე, პროვოკაციაზე! ეს სატელევიზიო რეკლამიდანაა. არის უფრო შთამბეჭდავი რეკლამებიც.
* როდესაც გაყუჩდება იარაღი და იდება დროებითი ზავი, ცოტა ხანში იმ ზონაში ფლიფჩარტის ხალხი შემოშრიალდება.
* მცირერიცხოვანი ხალხის გმირობაც მცირე ჩანს, მრავალრიცხოვანთა სასაცილო გმირობები კი პლანეტარულ გმირობებადაა მონათლული.
* არიან ქვეყნები, სადაც ფულის გაკეთების მიზნით ბავშვებს ამახინჯებენ (კამბრიჩიკოსები. გავიხსენოთ თუნდაც ჰიუგოს რომანი "კაცი, რომელიც იცინის"), არიან ქვეყნები, სადაც იმავე მიზეზის გამო ხალხს ამახინჯებენ.
* აფრიკაში უცნაური ხე ხარობს: როდესაც მისი ფოთლების რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, ფოთლები შხამიანი უხდება და ცხოველები მას ვერ ჭამენ. შემდეგ კი, როდესაც ხე აღადგენს ფოთლების ბალანსს, მისი ფოთლები კარგავენ შხამს.
* ინდოეთის ერთ-ერთი ბორდელის მეძავი ქალები გასამრჯელოს ნაწილს ომში დაინვალიდებულ მეომრებს ურიცხავენ.
* ციმბირში სულ რაღაც 30 კვადრატულ მეტრ ფართობზე მსოფლიოში უნიკალური სახეობის ბალახი ხარობდა. იქ გაიყვანეს ავტომტრასა, რომელმაც გაანადგურა ბალახი. დედამიწამ სამუდამო დაკარგა სიცოცხლის კიდევ ერთი სახეობა.
* მეცნიერთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ 21-ე საუკუნის ბოლოს დედამიწაზე არსებული 6.500 ენიდან 80-90% გაქრება, მეორე ნაწილი (უფრო ოპტიმისტური) ამტკიცებს, რომ მხოლოდ 50% დაიკარგება. არადა, ერთი ენის სიკვდილიც ტრაგედია იქნება სხვა დანარჩენი ენებისათვის.
* ომებში გეოპოლიტიკას არაფერი მოსდის, იტანჯება ადამიანი.
* დედამიწელებს ატომური ქვეყნების კლუბიც გვაქვს.
* არსებობენ კოლონიზებული კოლონიზატორი ქვეყნებიც.
* მეგობარი მეუბნება: კონფლიქტური ზონები სხვა ადგილებისაგან განსხვავდებიან საუკეთესო სასმელებითა და ეგზოტიკური კერძებით.
* როცა თავს ვიპატარავებთ, სხვებს ვაგიგანტებთ.
* როცა შეიარაღებული კონფლიქტი მთავრდება, გრძელდება პასპორტების ომი. ერთ ჩემს ნაცნობს სამი სხვადასხვა ქვეყნის პასპორტი აქვს.
* მერამდენედ ხდება ვარდი პოლიტიკური ყვავილი.
* მარად იყო შემოქმედებითი შემთვისებელი - ეს უმაღლესი ოსტატობაა.
* უტიფრობა ადამიანთა ურთიერთობის სტილად იქცა.
* დაცემა ადვილია - დაყრუვდები, გულზე ხელებს დაიკრეფ და ეშვები უფსკრულში. ამაღლებაა ძნელი - მას სულის აღმამფრენი სინდისის ენერგია სჭირდება.
* "გამოვუცხადებ მას ნამდვილ მონღოლურ ომს!" ასე ემუქრებოდა რომელიღაც მხატვრულ ფილმში გმირი ვიღაცას, - იგონებს მეგობარი.
"გაგშლი ნამდვილ ქართულ სუფრას!" ასე "იმუქრებიან" ხანდახან საქართველოში.

გაგრძელება იქნება

პროექტი "თქვენი აფხაზეთი"
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

ფოტოსტატია

გარანტია - თქვენი ფიცი, ბატონო პრეზიდენტო!

დავით ჯაფარიძე
დოკტორი, საერთაშორისო საინფორმაციო ჯგუფი "აფხაზეთი"-ს თავმჯდომარე, "abkhazeti.ru"-ს რედაქტორი

ბატონო პრეზიდენტო!

როგორც თქვენთვის ცნობილია, პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის წლებში ხელი მოეწერა რამდენიმე ხელშეკრულებას რუსეთთან, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულებაა სოჭში გაფორმებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთში რკინიგზის ხაზის აღდგენასა და ამოქმედებას იძულებით გადაადგილებული პირების აფხაზეთში დაბრუნების პარალელურად.

სამწუხაროდ, გასული წლების განმავლობაში დევნილთა დაბრუნების საკითხი იმავე მდგომარეობაში დარჩა, როგორც იყო შეთანხმების ხელმოწერისას. სამაგიეროდ, სულ უფრო და უფრო ხშირად გვესმის რკინიგზის ამოქმედების შესახებ.

რუსეთისთვის ამ სტრატეგიული მაგისტრალის აღდგენა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რეალურ სამხედრო გავლენას სამხრეთ კავკასიის რეგიონში, პრიორიტეტული მიზანი იყო იმ დროიდან, როდესაც განხორციელდა საქართველოს ნაწილის, აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსია. კერძოდ, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში რუსეთმა შემოიღო სანქციები ქართველ მეღვინეთა წინააღმდეგ, რომელთა მიხედვით, მათ რუსეთში თავიანთი პროდუქციის შეტანა მხოლოდ რკინიგზის საშუალებით შეეძლოთ. ამის გამო, მიუხედავად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული სახმელეთო საზღვრისა, საქართველო იძულებულია, თავისი უმნიშვნელოვანესი საექსპორტო პროდუქცია რუსეთს უკრაინისა და ყაზახეთის გავლით მიაწოდოს.

მოლაპარაკება რკინიგზის ამოქმედების შესახებ მით უფრო უცნაურად გამოიყურება აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის იმ განცხადებების ფონზე, რომელთა მიხედვით, აფხაზეთისათვის მიუღებელია ნებისმიერი დათმობა რკინიგზის ამოქმედების სანაცვლოდ. ჩვენი აზრით, ესეც კი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ შეწყდეს ნებისმიერი მოლაპარაკება აფხაზეთში რკინიგზის აღდგენის და სარკინიგზო ტრანზიტული მიმოსვლის შესახებ.

აშკარაა, რომ დღევანდელ პირობებში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა აფხაზეთის გავლით მრავალი მიზეზის გამო ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს. მოვიყვანთ რამდენიმე არგუმენტს.

- რკინიგზა საქართველოს იმ ტერიტორიის გავლით, რომელზეც არ ვრცელდება ან ნაწილობრივ ვრცელდება საქართველოს სუვერენიტეტი, დამამცირებელია არა მარტო ქართველების, არამედ აფხაზების ეროვნული ღირსებისთვისაც. ქართველები ვერ გამოიყენებენ მას თავისი ქვეყნის ფარგლებში თავისუფალი გადაადგილებისათვის, ხოლო აფხაზები არ გამოიყენებენ მას საქართველოს ფარგლებში მოძრაობისათვის.

- რკინიგზის ამუშავება კონკურენციას შეუქმნის მნიშვნელოვან სატრანზიტო პროექტებს, რომლებიც გადის საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებშიც უაღრესად დაინტერესებულნი ვართ ჩვენც და ჩვენი მოკავშირეებიც. რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს თავის გავლენას იმისათვის, რომ ნულამდე დაიყვანოს სხვა მონაწილეთა ძალისხმევა. საქართველოზე გამავალი ტრანზიტი აშკარად ეცილება რუსეთზე გამავალ ტრანზიტს და გაჭყავს ცენტრალური აზიის ქვეყნები მისი გავლენის სფეროდან. რუსეთის სამხედროებმა, თავის დროზე, ყველაზე გულახდილად გამოხატეს თავიანთი პოზიცია, როდესაც მოუწოდებდნენ: "ჩვენ უნდა გავჩეხოთ აბრეშუმის მახრჩობელა რუსეთის კისერზე!" სანამ ამოქმედდებოდეს სარკინიგზო ტოტი ჩრდილოეთიდან, აუცილებელია სრულყოფილი სარკინიგზო მიმოსვლის უზრუნველყოფა თურქეთთან და ევროპასთან საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ტოტების შეერთებით.

- მანამ, სანამ საქართველოს ტერიტორიაზე არიან დისლოცირებული სხვა სახელმწიფოს სამხედრო ბაზები, არ ვთვლით მიზანშეწონილად მათი ფუნქციონირების ხელშეწყობას ამ ბაზების დისლოკაციის ადგილამდე მიმავალი სარკინიგზო კომუნიკაციების აღდგენით. ჩვენს შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ სამხედრო შენაერთები საქართველოდან საკუთარ ტერიტორიაზე გაყვანის ნაცვლად, გადაადგილდებიან სომხეთში. სატრანზიტო სარკინიგზო მიმოსვლა სომხეთთან, რომელიც ცალსახად არ იქნება საქართველოსთვის გამჭვირვალე, მისცემს რუსეთს საშუალებას, ელვისებურად ჩამოაყალიბოს სომხეთში მოირიგე საჯარისო დაჯგუფება, რომელიც რამდენიმე საათში შეიძლება იქნეს გადასროლილი თბილისსა თუ ჯავახეთის მიდამოებში. ჩვენ ვთვლით, რომ აუცილებელია საჯაროდ გაჟღერდეს საერთაშორისო სამხედრო ექსპერტებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელ პირთა მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

- იმ პირობებში, როდესაც ირანის ხელისუფლებაში მოსული არიან აშკარად ანტიამერიკული ძალები, ხოლო საქართველო და აშშ სტრატეგიული პარტნიორები არიან, არასასურველად მიგვაჩნია ირანის იმ სახელმწიფოებთან კომუნიკაციების ხელწყობა, საიდანაც მას შეეძლება არალეგალურად შემოიტანოს იარაღი, ბირთვული კომპონენტები და სხვა სტრატეგიული დანიშნულების ტვირთები. სამწუხაროდ, ჩვენ ვეჭვობთ, რომ საქართველო შეძლებს შესაბამისი კონტროლის გაწევას სათანადო ეფექტურობით, განსაკუთრებით, პოლიტიკური ზეწოლის პირობებში.

- ბოლო დრომდე საქართველო დიდი ძალისხმევით ახერხებდა თავის არიდებას რუსეთ-ჩეჩნურ კონფლიქტში ჩათრევისაგან, მაგრამ რუსეთის სამხედრო ტვირთების მოძრაობამ ჩვენს ტერიტორიაზე შესაძლოა გამოიწვიოს ჩრდილოეთ კავკასიის დივერსიული ჯგუფების ამოქმედება საქართველოში. როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ასეთი ვითარება ხელს აძლევს ამ კონფლიქტის ორივე მხარეს: ჩეჩნურ მხარეს ხელს აძლევს რუსეთის სამხედრო მანქანის ნებისმიერი მნიშვნელოვანი დანაკარგი, მით უმეტეს, რომ დივერსიული აქტები რკინიგზაზე არ მოითხოვს ცოცხალი ძალისა და სახსრების დიდ მობილიზაციას; რუსეთის მხარეს ასეთი აქციები დასავლური პარტნიორების თვალში საქართველოს დისკრედიტაციის საშუალებას მისცემს. ასევე, მოხდება რუსეთის პრეტენზიების ლეგიტიმაცია საქართველოს ტერიტორიაზე "ტერორისტებთან ბრძოლის" თაობაზე.

- ბოლო დღეების მოვლენებმა გვაჩვენეს, რომ საქართველოში დღეისათვის არ არსებობს პოლიტიკურ ძალთა სპექტრი, რომელსაც გააჩნია რაიმე პასუხისმგებლობის შეგრძნება. არ უნდა მოგვატყუოს იმ ფაქტმა, რომ არც ერთი პარტია, რომელიც თავს ოპოზიციას უწოდებს, ჯერჯერობით, არ დაინტერესებულა აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხით. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ხელისუფლებას თავს დაატყდება უხეში კრიტიკა ამ ხალხის მხრიდან, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლების კრიტიკას ამ საკითხებში შეუძლია უკმაყოფილოთა დიდი მასების მობილიზაცია. ამას გვაგრძნებებს უამრავი სოციალური გამოკვლევა.

ნათელია, რომ ის ძალები, რომლებიც ლობირებენ რკინიგზის პროექტს ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის გადაჭრის გარეშე, არც აპირებენ ამის განხილვას. ცხადია, აგრეთვე, რომ დევნილთა დაბრუნების შემთხვევაში, რკინიგზის საკითხი ავტომატურად გადაწყდებოდა.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია სამშობლოს სახელით ლტოლვილთა დაყოფა ორ კატეგორიად: დასაბრუნებელი ლტოლვილები – გალის რაიონის მოსახლეობა და ისინი, ვისაც არ დააბრუნებენ – აფხაზეთის სხვა რეგიონების მოსახლეობა: ტყვარჩელი, ოჩამჩირე, გულრიფში, სოხუმი, ახალი ათონი, გუდაუთა, ბიჭვინთა, გაგრა. უპირველეს ყოვლისა, ეს უსამართლობაა, ვინაიდან სამშობლო ერთნაირად უნდა იბრძოდეს ყველა თავისი მოქალაქის უფლებების დასაცავად. მეორე კი ის არის, რომ აფხაზეთის დანარჩენი რეგიონებიდან განდევნილი მოსახლეობა ხელისუფლების ასეთ მიდგომას ცალსახად აღიქვამს, როგორც ღალატს. მსაგავს მიდგომას უკვე ჰქონდა ადგილი, როდესაც შევარდნაძის მთავრობა ცდილობდა ლტოლვილების დაყოფას კატეგორიებად: ისინი, ვინც იბრძოდნენ სეპარატისტებისა და რუსეთის წინააღმდეგ, არ ექვემდებარებოდნენ თავიანთ სახლებში დაბრუნებას, ხოლო მათ, ვინც საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას არ ღებულობდნენ – შეეძლოთ დაბრუნებულიყვნენ.

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ გაითვალისწინოთ ეს მოსაზრებები გადაწყვეტილების მიღებისას აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ. ჩვენ სრულიად ვუჭერთ მხარს თქვენს რეფორმების პოლიტიკას კორუფციასთან ბრძოლაში, ეკონომიკის განვითარებაში, ჯარის მშენებლობაში, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. ამავე დროს, ჩვენ სერიოზულად გვაწუხებს სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხი, რომლის უზრუნველყოფის გარეშე ნებისმიერი რეფორმის გატარებას აზრი ეკარგება.

სამწუხაროდ, ბოლო დღეების მოვლენების შემდეგ საქართველოში თქვენს გარდა აღარ დარჩა არც ერთი პოლიტიკოსი, ვისაც ენდობა მოსახლეობის უმრავლესობა. ეს განსაკუთრებით ეხება აფხაზეთიდან დევნილ ხალხს. მათთვის თქვენ ბრძანდებით ერთადერთი პოლიტიკოსი, რომლისაც მათ სჯერათ. ერთადერთი გარანტია კი არის თქვენი ფიცი, დადებული დვით აღმაშენებლის საფლავზე.

გამოკითხვა

თქვენი აზრით, რით აიხსნება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან გალის რაიონის საკითხის გააქტიურება?

ნანუკა ხვედელიძე, ფილოლოგი, 29 წლის: "ჩემი აზრით, ისინი მხოლოდ ლაპარაკობენ, რეალურად კი არაფერი კეთდება. თუ მართლა მიხედავენ გალის რაიონს და იქ ვითარება უსაფრთხო იქნება, უფრო მეტი დევნილი დაბრუნდება თავის მშობლიურ კუთხეში და თავის კარ-მიდამოს მიხედავს. რაც შეეხება გალის რაიონის ავტონომიას აფხაზეთის შემადგენლობაში, შეიძლება ამაზე მართლაც იყოს საუბარი მომავალში და ეს აფხაზეთის მთავრობამ საქართველოსთან ვაჭრობის მიზნით გამოიყენოს".

მამუკა გელაშვილი, ეკონომისტი, 43 წლის: "აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა თუკი მოინდომებს, მართლაც შეიძლება გალის რაიონში მდგომარეობის გამოსწორება - მხედველობაში მაქვს კრიმინალური ვითარება, ოღონდ ისინი მარტო ვერაფერს გახდებიან. საჭიროა ქართულ მხარესთან ურთიერთობა. თუ კრიმინალური ვითარება გამოსწორდება, სიტუაცია ეკონომიკური კუთხითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, მეტი პროდუქცია შეიქმნება და მეტი ლეგალური ფული იტრიალებს. ჩემი აზრით, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ამასაც ითვალისწინებს, როცა გალის უსაფრთხოებაზე საუბრობს. თუმცა, როგორც მე ვიცი, ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ ლაპარაკია და მეტი არაფერი".

მ. კვარაცხელია, აფხაზეთიდან დევნილი, 46 წლის: "გალში კი დაბრუნდა დევნილთა ერთი ნაწილი, მაგრამ ისინი იმიტომ დაბრუნდნენ, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. ახლა იქ, როგორც ამბობენ, შედარებით მშვიდი სიტუაციაა, მაგრამ სახლეობა სჭირდება. შეიძლება, ავტონომიის ამბავიც იმიტომ იყოს შემოგდებული, რომ მოსახლეობის გული მოიგონ. თუმცა, ეს ამბავი მაინც ტყუილი მგონია".

სვეტლანა მ-ია, აფხაზეთიდან დევნილი, 60 წლის: "ბაგაფში ეცდება, გალის მოსახლეობა თავისკენ გადაიბიროს, ნორმალური პირობები შეუქმნას, ავტონომიას შეჰპირდეს, რომ მათაც ხმა მისცენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ისინი ფიქრობენ, რომ ამ ხალხს მობეზრდება გაძაღლებული ცხოვრება და არჩევანს მათ სასარგებლოდ გააკეთებს".

ნინო კეკელია, მცირე მეწარმე, 35 წლის: "არა მგონია, გალის რაიონში ქართველი მოსახლეობისათვის სასურველი სიტუაცია შეიქმნას მანამ, სანამ იგი საქართველოს შემადგენლობაში არ დაბრუნდება. რაც არ უნდა ილაპარაკონ, გალის მოსახლეობა ყოველთვის იქნება დაჩაგრულ მდგომარეობაში და ხმას ვერ ამოიღებს. ამოიღებს და ისევ სადამსჯელო ოპერაციებს ჩაუტარებენ".

რეზო ჩხაიძე, ინჟინერ-ტექნოლოგი, 51 წლის: "ჩემი აზრით, გალის საკითხის გააქტიურება იმიტომ ხდება, რომ ბაგაფს გალის რაიონიდან მიღებულმა ხმებმა მოაგებინა არჩევნები და ისიც, მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მათ ქართველ სამართალდამცველებთანაც მოუწევთ ურთიერთობა, რაც, ასევე, სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის".

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს გენერალური პროკურატურა (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24) აცხადებს ღია ტენდერს სამსახურის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პროფილაქტიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. შესყიდვის ობიექტია:

სხვა უცხოური (არარუსული) წარმოების ა/მანქანები.

მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. თბილისი.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 ივლისის 11 საათიდან 21 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 209 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან).

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტისა და კრედიტორების წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 22 ივლისის 17 საათზე წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (პრეტენდენტად დამტკიცების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ) შეეძლებათ 2005 წლის 27 ივლისის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს გენერალური პროკურატურის სადეპოზიტო ანგარიში №000141408). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 209 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი).

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ზურა ისაკაძე, ტ. 899-48-30-45, 899-13-54-46, 98-25-78. რუსუდან კაპანაძე, ტ. 877-49-48-97. მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 209 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი).

სატენდერო კომისია

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), მდებარე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, აცხადებს ღია ტენდერს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა და რეპატრიანტთა ბავშვების (დაბ. 1991-97 წლებში) სოციალური რეაბილიტაციის და დასვენების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი მომსახურების შესყიდვის მიზნით.

2. რეაბილიტაციას დაქვემდებარებულ ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 500 პირს. მომსახურება უნდა განხორციელდეს 2005 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში ზღვისპირა რეგიონში.

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა 2005 წლის 21 ივლისიდან 25 ივლისის 18 საათამდე სატენდერო კომისიას ქართულ ენაზე უნდა წარუდგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

4. იურიდიული პირისათვის:

ა) განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;

ბ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მის/მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ვ) ინფორმაცია მსგავსი მომსახურების სფეროში სათანადო გამოცდილების შესახებ;

ზ) ინფორმაცია ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

5. ფიზიკური პირებისათვის:

ა) განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;

ბ) ცნობა გაცემული შესაბამისად ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან მონაწილის ქმედუნარიანობის შესახებ;

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მონაწილე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ე) ინფორმაცია ბავშვთა დასვენების პროგრამული უზრუნველყოფისა და მიღება-გათავსების სფეროში სათანადო გამოცდილების შესახებ;

ვ) ინფორმაცია ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

6. სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემი.

7. ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს დედნის სახით, ხოლო ასლები, წარმოდგენის შემთხვევაში, სათანადო წესით დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიალურად.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე, სამინისტროს კანცელარიაში - მე-3 სართული, ოთახი №303.

9. ტენდერში მონაწილე პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვება პრეტენდენტად, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

10. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტებთან.

11. ტენდერში გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

12. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცებულ პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 1 აგვისტოდან 3 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16, მე-3 სართული, ოთახი №303, სამინისტროს კანცელარია. მოსაკრებლის გადახდისათვის სათანადო რეკვიზიტები პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით.

13. დამატებითი ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ირმა სანიკიძე, პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე, ან ტელ. 38-47-92.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სატენდერო კომისია

მოკლედ

ჭაკ როგმა, ნუ გეწყინებათო

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბელგიელმა პრეზიდენტმა ჟაკ როგმა გუშინ წინდაწინვე დააწყნარა ის ქვეყნები, რომლებსაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლაში ხელი მოეცარებათ. გარდა ამისა, ოთხ ქალაქ კანდიდატს რჩევა მისცა, საკუთარი ძალები 2016 წლისთვის მოსინჯეთო.

მოგეხსენებათ, 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის იბრძვიან ლონდონი, პარიზი, მადრიდი, ნიუ იორკი და მოსკოვი. მათ შორის გამარჯვებულის ვინაობას დღეს სინგაპურში სოკ-ის 117-ე სესიაზე გამოაცხადებენ.

“თითოეული პრეტენდენტის მომზადების უმაღლესი დონის გათვალისწინებით, მოხარული ვიქნებით, თუ მათ შემდეგშიც ვიხილავთ როგორც კანდიდატებს, - სოკ-ის 117-ე სესიის ოფიციალური გახსნის ცერემონიალზე განაცხადა ჟაკ როგმა. – კანდიდატმა ქალაქებმა უნდა იცოდნენ, რომ პრეზენტაციის დონე წარმატების კარგ შანსს აძლევთ და შეძენილი მდიდარი გამოცდილება მომავალში დიდ სამსახურს გაუწევთ”.

ვიერი კალაძესთან ორ წელიწადს ითამაშებს

იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ გუშინ “მილანთან” ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. “როიტერსის” ცნობით, სერია A-ს ბინადართან შეთანხმება ძალაშია 2007 წლის ივნისამდე.

„ლივერპული“ ჯერარდს 32 მილიონადაც ვერ ელევა

“ლივერპულის” ხელმძღვანელობამ უარი თქვა წინადადებაზე, რომლის მიხედვითაც ლონდონურ კლუბ “ჩელსიში” 32 მილიონ ფუნტ სტერლინგად უნდა გადაბარგებულიყო ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი. ბი-ბი-სის ცნობით, 2005 წლის ჩემპიონთა ლიგის მოგების კლუბი ჯერჯერობით არ აპირებს ლივერპულელთა კაპიტნის გაყიდვას, თუმცა, კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ პერიმ განაცხადა, რომ ჯერარდი, ყველაფრის მიუხედავად, ალბათ, მაინც დატოვებს კლუბს.

და კიდევ, ამჟამად “ლივერპული” თავის ნახევარმცველს კვირაში 100 ათას ფუნტ სტერლინგს სთავაზობს იმისთვის, რომ გუნდში დარჩეს, მაგრამ...

ჯერარდი, რომელსაც კლუბთან ჯერაც ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, შეთავაზებულ თანხაზე ყაბულს არაა. გუნდთან ფინანსურ საკითხებზე შეუთანხმებლობის გამო გასულ კვირას წამოწყებული მოლაპარაკება წარუმატებელი გამოდგა. აქედან გამომდინარე, ჯერარდმა “ლივერპულის” ხელმძღვანელობას სხვა კლუბში გაშვება მოთხოვა. თავის მხრივ, ფეხბურთელის აგენტმა სტრუან მარშალმა ორშაბათს განაცხადა, “ვეჭვობ, მოლაპარაკება განახლდესო”.

ჯერარდის თავის რიგებში ხილვა სურს მადრიდის “რეალს”.

სპორტის დედოფალმა რეიტინგ-ნუსხა განაახლა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ განაახლა საკუთარი რეიტინგ-ნუსხა, რომლის მიხედვითაც გადაადგილებაა ვაჟებს შორის. უფრო სწორად, შეიცვალა ლიდერი. მოწინავის პოზიციაზე გადაინაცვლა ეთიოპიელმა კენენიშა ბეკელემ. მეორე და მესამე ადგილებზე არიან, შესაბამისად, იამაიკელი ასაფა პაუელი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ ათენში 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და ყატარელი სალიფ საიდ შახინი.

ქალთა შორის რეიტინგ-ნუსხა ასე გამოიყურება: ელენა ისინბაევა (რუსეთი), კაროლინა კლუფტი (შვედეთი), ტატიანა ლებედევა (რუსეთი).

ჩოგბურთი

როჟე ფედერერი: "გამარჯვებისგან არ დავიღალე"



ენდი როდიკის დამარცხების შემდეგ უიმბლდონის აწ უკვე სამგზის ჩემპიონმა შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა.

- როჟე, თქვენ მხოლოდ 23 წლის ბრძანდებით და უკვე სამჯერ მოიგეთ უიმბლდონის ტურნირი. გრძნობთ თუ არა ძალებს იმისთვის, რომ ბორგის ან სამპრასის მიღწევა გაუმჯობესოთ?

- პირველ რიგში იმას ვგრძნობ, რომ ასეთი ამოცანის დასახვა შემიძლია. ფინალი უაღრესად რთული იყო და მიხარია, რომ მოვიგე. შეგნებული მაქვს, რომ ამიერიდან ყველა ტურნირზე, სადაც ვითამაშებ, ფავორიტი ვიქნები, მაგრამ არ უნდა ვიფიქრო, რომ ყველა ტურნირს აუცილებლად მოვიგებ.

- ენდი როდიკმა განაცხადა, რომ იმედი აქვს, თქვენ გამარჯვებებისგან დაიღალეთ. ფინალმა აჩვენა, რომ არა. როგორ ფიქრობთ, დადგება დრო, როცა ფსიქოლოგიურად გადაიღლებით?

- რაც შეეხება ენდის, მას დღეს მართლაც მძიმე დღე ჰქონდა, რადგან ნამდვილად კარგად ვითამაშე. რაც შეეხება გამარჯვებისგან გადაღლას, ნამდვილად ვიცი, რომ უახლოეს მომავალში ეს არ მოხდება.

- ზედიზედ მესამე გამარჯვების გამო სიხარულისგან ყვიროდით, ყვიროდით ორი წლის წინათაც, როცა უიმბლდონი პირველად მოიგეთ. შარშან კი ემოციებს ნაკლებად მიეცით გასაქანი. რატომ?

- მეორედაც ვყვიროდი, გარწმუნებთ. როცა ტურნირი მეორედ მოვიგე, უდიდესი შვება ვიგრძენი. მაშინ ხომ პირველად მოხდა, რომ მოქმედი ჩემპიონის სტატუსით ვთამაშობდი და იძულებული ვიყავი, ტიტული დამეცვა. ახლა კი უცნაური გრძნობა მქონდა. შეიძლება დღეები, თვეები ან წლები დასჭირდეს იმის შეგნებას, რაც გავაკეთე.

- რა არის თქვენი სტაბილურობის საიდუმლო? საჩოგბურთო სამყაროში ბევრია ნიჭიერი ჩოგბურთელი, რომლებსაც დროგამოშვებით ჩავარდნა აქვთ. თქვენ ერთადერთი ბრძანდებით, ვინც სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშობს. რა არის ამის საიდუმლო?

- ალბათ, ის, რომ ადრე ძალიან ბევრ მატჩს ვთამაშობდი, რომლებიც უნდა მომეგო. ახლა კი ეს ყველაფერი მიბრუნდება. ხანდახან ისეთ თამაშებს ვიგებ, რომლებშიც მეტოქეზე ძლიერი არ ვარ. თუმცა, როცა ზედიზედ სამ უიმბლდონს იგებ, საკუთარ თავს ეკითხები, რას ვაკეთებ ისეთს, რაც ასეთი შედეგის მიღწევის საშუალებას მაძლევს?

- როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია, როდიკის ადგილზე რომ ყოფილიყავით, რომელმაც უიმბლდონის ფინალი წააგო?

- მე მის ადგილზე არაერთხელ ვყოფილვარ. გადამწყვეტი მატჩები მეც წამიგია. კონკრეტულ მატჩზე თუ ვისაუბრებთ, ენდის ადგილზე მაინცდამაინც არ ვინაღვლებდი. მისმა მეტოქემ შესანიშნავად ითამაშა. არა მგონია, რომ ოდესმე როდიკი ამ მატჩს სევდით გაიხსენებს. კაცმა რომ თქვას, როდიკიც კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ დებიუტში ბევრი რამ არ გამოსდიოდა. ვიცი, რომ - 3:0 იოლი გამარჯვების იმიტაციას ქმნის, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მეორე სეტი ტაი-ბრეიკზე ჩემს ნაცვლად ენდის მოეგო. მაშინ ადვილი შესაძლებელი იქნებოდა, მატჩის მსვლელობა მთლიანად შეცვლილიყო.

- თუ ასეთი ტემპით გააგრძელებთ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ მოკლე ხანში მსოფლიოში თქვენი ბადალი აღარ იქნება?

- ჯერჯერობით მირჩევნია, ამაზე არ ვიფიქრო. უბრალოდ, კორტზე ყოველთვის მოსაგებად გამოვდივარ. ვფიქრობ, ჩოგბურთთან ასეთ დამოკიდებულებას რამდენიმე წლის განმავლობაში კიდევ შევინარჩუნებ. იმედი მაქვს, ამ ხნის განმავლობაში ტრავმებსაც თავიდან ავიცილებ. ასე რომ, იმედი მაქვს, მომავალ უიმბლდონზეც იგივე ფედერერს იხილავთ.

ფორმულა 1

შუმახერი და ალონსო ბურთს გააგორებენ

ტრადიციისამებრ, სამეფო რბოლის პილოტები “დიდი პრიზის” წინ საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩს აწყობენ. ტრადიცია არც ახლა დარღვეულა. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი და ფერნანდო ალონსო, რომელმაც მიმდინარე სეზონში მეხუთე გამარჯვება მოიპოვა, “უნგრეთის დიდი პრიზის” წინ ფეხბურთს ითამაშებენ. “ასოშიეტედ პრესის” ცნობით, ისინი 27 ივლისს ფერენც პუშკაშის სახელობის სტადიონზე უნგრეთის “ყველა ვარსკვლვის” გუნდს დაუპირისპირდებიან. ჯერჯერობით უცნობია, ვინ ითამაშებს “ყველა ვარსკვლავის” გუნდში. მრბოლთა გუნდის წევრთა ვინაობა კი ცნობილია. ჯანკარლო ფიზიკელა (“რენო”), იარნო ტრული (“ტოიოტა”), ვიტანტონიო ლუცი (“რედ ბული”) და ფორმულა 1-ის პირველი უნგრელი მრბოლი ჟოლტ ბაუმგარტნერი (შარშან “მინარდის” ღირსებას იცავდა).

საქველმოქმედო მატჩიდან შემოსული თანხის 30 პროცენტი იუნესკოს ფონდს გადაერიცხება, დანარჩენი კი ზრუნვას მოკლებულ უნგრელ და სხვადასხვა ქვეყნის ბავშვებს.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 6 ივლისი

НТВ-ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. მსხვილი ანგარიში. იტალიის ჩემპიონატი. “სამპდორია” – “იუვენტუსი”
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001/2002. “ლოკომოტივი” – “რომა”
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
16:30 განვლილი სეზონის გახსენება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. “აიაქსი” – “ფეიენოორდი”
18:15 განვლილი სეზონის გახსენება. მსხვილი ანგარიში. გერმანიის ჩემპიონატი. “ჰანზა” – “ვერდერი”
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. “რასინგი” – “ბარსელონა”
22:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001/2002. “დინამო” (უკრაინა) – “ლივერპული”
23:50 მინიფეხბურთი. “პაოლოჟიის თასი”

НТВ-СПОРТ
10:00, 13:15, 16:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 “ქრონიკა”
10:25 “ჰარმონიის ფორმულა”
10:45 “ცხელი ქვიშა”
11:15 სპორტული ცეკვები. “ბროლის თასი 2005” ინგლისში
12:30 “ფენომენი”. “აქ იყო “ვოდნიკი”
13:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. გადამწყვეტი მატჩები
16:15 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2002 წელი. ნახევარფინალი. "COLORADO AVALANCHE" - "DETROIT RED WINGS". მე-6 მატჩი
18:30 საავტომობილო სპორტი. რუსეთის ჩემპიონატი და თასი წრიულ რბოლებში. მე-3 ეტაპი. შესვენებისას (19:00) – პრესცენტრი
20:15 “სპორტისიმო”
21:00 “სპორტის აკვატორია”
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალთა ფინალი
00:15 ახალი ამბები
00:30 “სპორტის აკვატორია”
01:00 01:00-დან 04:40-მდე შესვენება
04:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. “ატლეტიკო პარანენსე” (ბრაზილია) – “სან პაულუ” (ბრაზილია). პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
16:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
16:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 ოლიმპიური თამაშები. 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის გამოცხადების ცერემონია. მიმოხილვა
20:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
20:15 ცხენოსნობა. ნაციის თასი ნორვეგიაში
21:15 გოლფი. მიმოხილვა
22:45 აფროსნობა
23:15 ახალი ამბები – ბიზნეს-კლასი
23:30 ქვიშის მარათონი
00:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა
01:15 მძლეოსნობა. იააფ-ის სუპერ დიდი პრიზი შვეიცარიაში
03:15 ახალი ამბები

საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის 1.07.2005წლის N19 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2005წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, პარლამენტის შენობის საინჟინრო-გეოლოგიური მდგომარეობის, კონსტრუქციების მზიდუნარიანობისა და ნაგებობის სეისმომედეგობის კვლევით სამუშაოებზე (რეკომენდაციებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებით) პარლამენტი აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005წლის 21 ივლისის 10⁰⁰სთ-დან 22 ივლისის 16⁰⁰სთ-მდე**, საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8 (დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **932509 ზაურ ჯიოშვილი**).

3. დაინტერესებული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

3.1 **იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

დ) მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციდან);

ვ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ზ) საქმიანობის წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიის ან ნებართვის ასლი (გაცემული შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, ნოტარიალურად დამოწმებული);

თ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

3.2 **ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

ე) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციდან);

ზ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

თ) საქმიანობის წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიის ან ნებართვის ასლი (გაცემული შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, ნოტარიალურად დამოწმებული);

ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

4. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე (სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა **2005წლის 28 ივლისის 10⁰⁰-დან 29 ივლისის 16⁰⁰-მდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი) საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000141408 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის 1.07.2005წლის N19 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2005წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, პარლამენტის შენობაში დაშვების ელექტრონული სისტემის შეძენა-მონტაჟზე და გაშვება-გამართვაზე პარლამენტი აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005წლის 21 ივლისის 10⁰⁰სთ-დან 22 ივლისის 16⁰⁰სთ-მდე**, საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8 (დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **932509 ზაურ ჯიოშვილი**).

3. დაინტერესებული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

3.1 **იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

დ) მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციდან);

ვ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ზ) საქმიანობის წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიის ან ნებართვის ასლი (გაცემული შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, ნოტარიალურად დამოწმებული);

თ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

3.2 **ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

ე) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციდან);

ზ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

თ) საქმიანობის წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიის ან ნებართვის ასლი (გაცემული შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, ნოტარიალურად დამოწმებული);

ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

4. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე (სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა **2005წლის 28 ივლისის 10⁰⁰-დან 29 ივლისის 16⁰⁰-მდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი) საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000141408 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

„ბევრეული სიცოცხლე შენ...“

აგნი ფოჩხუა

თქმულა – ხანდახან დალოცვაც შეიძლება ახდესო...

“ბევრეული სიცოცხლე შენ”, ასე დაულოცავს გურამ რჩეულიშვილი ერთხელ ლეჩხუმელ ბერდედას, რომელსაც გურამმა თავისი სტუდენტური ავლადიდება – მთელი სტიპენდია უყოყმანოდ მისცა სადღაც ქუჩაში დაკარგული ფულის სანაცვლოდ.

ძალიან ცოტა, მაგრამ ბევრეული სიცოცხლით გაასრულა გურამ რჩეულიშვილმა, როგორც მწერალმა და ადამიანმა, ცხოვრების გზა.

ბევრეული სიცოცხლით იცხოვრა. მწერლისა და ადამიანის... ისტორიკოსისა და არქეოლოგის... ალპინისტის და მოგზაურის...

ცოტ-ცოტა დაჰყო ყველგან, მაგრამ საკმარისად. გურამ რჩეულიშვილი შემოქმედის ცხოვრებით ცხოვრობდა, ფიქრობდა, ქმნიდა, უყვარდა... ფეხითა და ცხენდაცხენ ჰქონდა დავლილი საქართველო – არა როგორც მოგზაურს, არამედ როგორც ამ მიწის შვილსა და პატრონს.

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება მისსავე მოთხრობებს ჰგავდა. სიმართლით, სისავსით, სიღრმით და თვით ლაკონიურობითაც.

გურამ რჩეულიშვილი დაიბადა 1934 წლის 4 ივლისს თბილისში. ცხოვრობდა რენინგერის ქუჩაზე №4 სახლში, სადაც გაატარა ბავშვობისა და ყრმობის წლები. დიდი წინაპრების წმინდა აჩრდილების გარემოცვაში აღზრდამ, რა თქმა უნდა, დიდი კვალი დაამჩნია ბუნებითაც დიდი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკის სულს.

1953 წელს რჩეულიშვილების ოჯახი ვაკეში, ლარსის ქუჩაზე გადადის საცხოვრებლად. გურამი სწავლობდა მე-19 საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და შემდეგ უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. როგორც მწერლის მშობლები აღნიშნავენ, მისი არჩევანი ერთგვარად განსაზღვრა იმ სასიკეთო ზეგავლენამ, რომელსაც სკოლაში განიცდიდა თავისი უსაყვარლესი მასწავლებლისგან, ცნობილი პედაგოგისა და ისტორიკოსის სამსონ როდონაიასგან.

შუბლნათელი და ქედუდრეკი, ღრმა ინტელექტითა და დაუოკებელი ენერგიით სავსე. ასე ახსოვთ გურამი ახლობლებსა და მეგობრებს. სუსტთა მფარველი და ჭირში მყოფთა თანამდგომი, სხვის საშველად მუდამ ჩახმახივით შემართული და ამ ძნელ გზაზე ნებისმიერი საფრთხისა თუ განსაცდელის არდამრიდე თუ არმოშიშარი.

გურამ რჩეულიშვილის პროზა უმაღლესი ხარისხის, ანუ ჭეშმარიტი ლიტერატურის კუთვნილებაა. სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული ჭაბუკის დღითიდღე მზარდი სიყვარული და პატივისცემა უკვე თაობიდან თაობას გადასცემია. ის სიცოცხლეშივე იყო მართლაც რჩეული და საერთო სიყვარულით გარემოცული. ზაფხულობით ძალიან უყვარდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში წასვლა და გათხრებში მონაწილეობის მიღება. მეტისმეტად იზიდავდა ხალხში ყოფნა და ტრიალი... ყველაფერს ეცნობოდა, აკვირდებოდა. ჩანახატებს ჯერ კიდევ სკოლის ასაკში წერდა.

ღრმა შინაარსისა და დიდი მხატვრული სიმართლის გამო თამამად შეიძლება შედევრი ეწოდოს ისევ და ისევ “ალავერდობას”, “უსახელო უფლისციხელს” (სხვა რომ არაფერი შეექმნა ავტორს, მისი სახელის უკვდავსაყოფად ეს ორი ნაწარმოებიც საკმარისი იქნებოდა), “ბათერეკა ჭინჭარაულს”, “ნელ ტანგოს”, “სიკვდილი მთებში”-ს, რომელიც მისი შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშებია.

გურამ რჩეულიშვილს მძაფრად და თავდადებით უყვარდა სიცოცხლე. ჯერ მარტო შეგრძნება იმისა, რომ ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში. უყვარდა ადამიანები განურჩევლად რჯულისა თუ ეროვნებისა. უყვარდა საქართველო თბილისითა და მცხეთით, თელავითა თუ ქუთაისით, მტკვრითა და რიონით, გელათითა და ალაზნის “ჭალიდან თეთრი გედივით გამოვარდნილი ალავერდით...”

უაღრესად საინტერესო მოსაუბრე, კაცს განაწყობდა თურმე სასაუბროდ. რაინდული სულისკვეთებით აღზრდილი, შეუდარებელი მეგობარი ყოფილა. თუ ვინმე უყვარდა, მთელი გულით უყვარდა, მისთვის ნახევრად სიყვარული ან სიყალბე არასოდეს ყოფილა მისაღები. მეგობრების ფართო წრე ჰყავდა.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაზე ჯერ კიდევ არ თქმულა სათქმელი. ზოგი ამბობდა ჰემინგუეის სტილს ბაძავსო (რომელიც მწერლის ბოლო პერიოდზე შეიძლება მართლაც თქმულიყო), მაგრამ ეს იყო წმინდა ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული სტილი, ვეება ტალანტი, თავისი ფიქრებით, აზრებით, ძიებით, წარმართული გზა. ეს იყო გურამ რჩეულიშვილის სიუხვითა და ვნებიანი აფეთქებით სავსე სტილი... მწერლის შემოქმედებას ყველაზე მაღალი შეფასება მისცა მისმა თანამედროვემ გიორგი შატბერაშვილმა.

გურამი ყველგან წერდა: ნახულობდა - წერდა, სიახლეს შეიგრძნობდა - წერდა, უხაროდა - წერდა, სტკიოდა - წერდა, უყვარდა - წერდა. ეს სულიერი მოთხოვნილება განუყრელად თან დაჰყვებოდა. ზღვა საოცრად უყვარდა. სივრცესა და ღელვას მიელტვოდა. თოლიასავით გრძნობდა თავს ტალღებში, სადაც, სამწუხაროდ, დასრულდა კიდეც მისი დიდი და მრავლისმომცველი სიცოცხლე. დღიურში წერდა: “გული მიგრძნობს, ოცდაათ წლამდე ვერ მივატანო, კარგი იქნებოდა ოცდაათისთვის გადამებიჯებინა. ძალიან ბევრს გავაკეთებდი... მაშინ წინათგრძნობა ხომ არ იქნებოდა წინათგრძნობა.”

“მთებში დავდივარ. ალპინისტი არ ვარ. უნივერსიტეტში ვსწავლობ. როგორც დედა იტყვის, სტუდენტის სახე არ მაქვს, ღვინოს ვსვავ, ლოთი არა ვარ. ცხენზე ჯირითი მიყვარს, მხედარი არა ვარ. ვჩხუბობ, დიდი გამრტყმელი არა ვარ, გულუხვი ვარ, ფული არა მაქვს – აბა ცარიელა გული ვის რად უნდა? შეყვარებული ვარ, საყვარელი არა მყავს, უშნო არა ვარ – ჩემი სილამაზე თვალს არავის ჭრის, კარგი ტანი მაქვს, ფეხები მოლუნული, ერთი სიტყვით, რაცა ვარ, ეგა ვარ. ისეთივე საქმე მაქვს, როგორც ინჟინერს, როგორც ლექტორს, რომელსაც ლექციის მოყოლა ფულისთვის სჭირდება – ეს შურისძიებაა! ყველა იმ უძილო ღამეებისთვის, ტანჯვისთვის მიხდიდნენ მე ფულს”.

პოეტ ტარიელ ჭანტურიას გადმოცემით, გურამი ძალიან ადვილად იღებდა რედაქტორის შენიშვნას. ერთხელ კიდეც უთქვამს, მე ისტორიკოსი ვარ, თქვენ - ფილოლოგები, გამისწორეთ, თანახმა ვარ და გურამმა მიიღო ჰონორარი 150 მანეთი. გზაში, სახლში მისვლამდე დაურიგებია ფული.

“მე დღეს დიპლომი უნდა ვწერო. დიპლომი უყვარს დედას (დედა ჩემი საქმეა), ისევე როგორც თქვენ, მაგრამ მე ამას უფრო კარგად ვიცნობ და ის გარდა საქმისა, მიყვარს. როგორ შეგიძლია გურამ შენ დედას დაარქვა საქმე ან ხალხს დაარქვა საქმე? არ შემიძლია თავდავიწყებამდე არ მიყვარდეს დედა, რომელსაც ყოველდღე ზოგჯერ ცრემლებამდე ვაბრაზებ. მე მხოლოდ მაინტერესებს გავერკვიო, მე თვითონ ვაბრაზებ მას? როგორ შეიძლება ისე ვიცხოვრო, რომ არ ვაწყენინო, რომ არ ვიმოქმედო თქვენს ნერვებზე. ეს არის ჩემი ცხოვრება. ამისთვის ვწერ მე, რომ გავერკვე. ბევრჯერ მიცდია, არც ისე ბევრჯერ, 5-6-ჯერ დამეწერა რაიმე საინტერესო, გინდაც უინტერესო, მაგრამ მაინც დამეწერა, ჯერ ყაზბეგს ვბაძავდი, მერე ვინ იცის ვის. მე მინდა ვიყო მწერალი, თანაც დიდი. მერე რა, რომ არ მეშინია ჩემი ფიქრების. უკვე შევეჩვიე, რაც მინდა ის არ შემიძლია. ასე იყო ბავშვობიდან. მაშინ მინდოდა ტანკისტი გამოვსულიყავი. მერე მთვარეზე მივფრინავდი და საკაცობრიო საქმეს ვაკეთებდი. მერე ლოთობამ გამიტაცა, მერე ქალებმა, ერთი სიტყვით იმხელა გაქანება მაქვს აზრებში, ამათგან მარტო ერთი ვერ დამაკმაყოფილებს. ვეხვევი ბურუსში. ამაზე დღეს კი არა, შეგნებით თუ შეუგნებლად, მიფიქრია საუკუნე. კიდევ მეტი, ეგეც მე”.

გურამ რჩეულიშვილმა მუდმივი მზადყოფნის შეგრძნებით იცხოვრა ამქვეყნად და ეს იშვიათი, ძვირფასი მაღალადამიანური თვისება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ღირსებით ატარა. 1960წლის 23აგვისტოს, გაგრაში ღრუბლიან ავბედით დღეს, თანამომმის გადასარჩენად აბობოქრებულ ზღვაში, ტანსაცმლიანი გადაეშვა და ლამის გაღიმებული შეჰგეგებია სიკვდილს (უამრავ დამსწრეთა თვალწინ)... ვეებერთელა ტალღამ იგი ჯერ კირქვის ლოდებისგან მკვრივად ნაგებ კედელს შეანარცხა და მერელა მოიტაცა. ოთხი დღის შემდეგ უპოვიათ მისი ცხედარი გაგრიდან მე-17 კილომეტრზე განთიადთან, ზღვას მისთვის მარჯვენა მკლავი მოეტეხა და ისე დაემორჩილებინა.

მიუხედავად იმისა, რომ გურამ რჩეულიშვილმა ძალიან ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა, გაგვაოცა, ეპოქალური მემკვიდრეობა დაგვიტოვა და როგორც შემოქმედს უდიდესი სიყვარული და უკვდავება ხვდა წილად.

თაობიდან თაობას

სოფო კილასონია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კაპელა ტრადიციას არ ღალატობს. "ისევ ისეთი ახალგაზრდაა, როგორც უწინ, ისევ აგრძელებს მუშაობას და თაობების აღზრდას." გუშინწინ საღამოს ციცინო ფალავანდიშვილმა და მისმა ახალგაზრდა მომღერლებმა ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში მორიგი საანგარიშო კონცერტი გამართეს. საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატმა, ვაჟთა სახალხო კაპელამ საკუთარი შემოქმედებითი საღამო სტუ-ს ჩემპიონ კალათბურთელებს მიუძღვნა. ოპერის თეატრის მაყურებელთა დარბაზი ძველმა და ახლანდელმა სტუდენტებმა თითქმის სრულად შეავსეს. მათ შორის, ფურმე, მრავალი ისეთი ყოფილა, ვინც კაპელის რეპერტუარი ზეპირად იცოდა და ოდესღაც დიდი სიყვარულით ასრულებდა მას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კაპელა 1964 წელს შეიქმნა. მისი პირველი ხელმძღვანელი და დირიჟორი იუზა კუბლაშვილი იყო. იგი გუნდს 24 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. კაპელის წარმატების მონაწილე თურმე მისი ქორმაისტერი სოსო ფალავანდიშვილი ყოფილა. ბატონ სოსოს, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი გაუკეთებია, - საკუთარი საქმე მემკვიდრეობით ქალიშვილისთვის გადაუცია და ამით კაპელის სიცოცხლე გაუგრძელებია. ციცინო ფალავანდიშვილმა 1981 წელს შეცვალა მამა, დღემდე არაერთი თაობა აამღერა და, როგორც თავად ამბობს, გაწვრთნა. 1998 წელს ვაჟთა სახალხო კაპელის ქორმაისტერი და სამხატვრო ხელმძღვანელი ქალბატონი, სტუდენტ-ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისთვის ღირსების ორდენით დაჯილდოდეს.

ვაჟთა სახალხო კაპელა არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. ამას გარდა წარმატებით მართავს კონცერტებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ კოლექტივში დაიწყეს სიმღერა თემურ გუგუშვილმა, ელგუჯა მეძმარიაშვილმა, გია ასათიანმა, მიხეილ სილაგაძემ, "ცისფერმა ტრიომ", "თბილისოს" და "სიმის" წევრებმა.

კაპელა და მისი ვოკალური ანსამბლი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მართავს საანგარიშო კონცერტს; გამონაკლისი არც წელს ყოფილა. ოპერის თეატრის სცენაზე ტექნიკური უნივერსიტეტის მომღერალმა ბიჭებმა საკუთარი რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერები წარმოგვიდგინეს. მათ შორის იყო როგორც ხალხური, ისე ქალაქური და კლასიკური ნაწარმოებები. "ჩვენ უნდა შევეცადოთ და რაც შეიძლება მეტი კარგი დავინახოთ მათში, კი არ ვაძაგოთ ახალი თაობა, არამედ რაც შეიძლება მეტი სითბო და მზრუნველობა გამოვიჩინოთ მის მიმართ. მაშინ შედეგი ძალიან კარგი იქნება, ისინი ცუდები ვერ გაიზრდებიან. ყოველი მათგანი, ვინც დღეს ჩემთან ერთად დგას სცენაზე და ის, ვინც უწინ იყო ჩვენს დიდ ოჯახში, ყველა ნამდვილი ჭეშმარიტი ქართველია და ეს არის ჩემთვის მთავარი", - დაახლოებით ასე ჩამოაყალიბა საკუთარი ცხოვრებისეული კრედო ქალბატონმა ციცინომ სცენიდან. ეს ლიტონი სიტყვები არ არის. იგი წლების განმავლობაში საკუთარ აღსაზრდელებში მხოლოდ სიკეთესა და ნიჭს ეძებს და ალბათ ამიტომაც ისინი ერთად ყოველთვის წარმატებებს აღწევენ.

P.S. კონცერტის შემდეგ ქალბატონი ციცინო და მისი თხუთმეტი შემსრულებელი ესპანეთში, კუნძულ როდოსზე, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი
Georgian Wholesale Electricity Market

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის განცხადება

05.07.05.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ელექტროენერგეტიკული სექტორის მდგრადობისა და ფინანსური სტაბილურობის მიღწევის მიზნით მხარს უჭერს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას დისციპლინარული ღონისძიებების გატარებაში, რაც რეგიონების კომუნალური გამრიცხველიანების პროცესის წარმოებაში გამოიხატება.

აპრილის თვეში გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მოლვაწეობის არეალში დაწყებულმა გამრიცხველიანების პროცესმა კონკრენტული შედეგი უკვე გამოიღო, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ყოველთვიურად 2 მილიონი ლარით გაიზარდა. შესაბამისად, გაუმჯობესდა სესბ-ის სპეციალურ ანგარიშზე სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან თანხების გადახდის დინამიკაც. რამაც გენერაციისა და მომსახურე ორგანიზაციების მიმდინარე ანაზღაურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაობის დაფინანსების გაზრდა განაპირობა, ასევე შესაძლებელი გახადა ენერგოსექტორის ზამთრის სეზონისთვის გაცილებით უკეთ მომზადებაც.

გაერთიანებილი სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ რეიგონების 95%-ით გამრიცხველიანებამ 40%-ით შეამცირა ელექტროენერგიის მოხმარება, რაც ზამთრის პერიოდში ენერგოდეფიციტის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

სამწუხაროდ, რეგიონებში კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებამ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი მოუწოდებს მოსახლეობას გაგებით მოეკიდონ კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებას, ვინაიდან აღნიშნული კამპანია თანხების სიმცირის გამო ამ ეტაპზე ერთადერთი ოპტიმალური გამოსავალია ელექტროენერგეტიკული მდგრადობის მიღწევის თვალსაზრისით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება რეგიონებში სრული ინდივიდუალური გამრიცხველიანების წინაპირობა გახლავთ.

აღრიცხვიანობის მოწესრიგება, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სრულად და დროულად გადახდა, დანაკარგებისა და მოხმარების შემცირება შესაძლებელს გახდის რეგიონების ელექტროენერგიით უზრუნველყოფას.

„ცენტრ პოინტი“ ყველგან და ყველასთვის

მენაშენეთა ერთ-ერთი ლიდერი ცენტრ პოინტი

ღირსი ფასი, უმაღლესი ხარისხი, ზემოხსენებული სამშენებლო შეკვრილობები

„ცენტრ პოინტი“ საუკეთესო არჩევანი!

მხოლოდ ეს ღირსებაა!

ხათაო ოფისი: თბილისი, ჭავჭავაძის 66, ტელ. 253216, 253217
www.centerpoint.ge cp@centerpoint.ge 232260

ყურადღება!

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარების და რეფორმების ფონდი ანახლებს წარმატებულ პროექტს: -"სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა იურისტებისთვის".

ამა წლის 15 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა საკონკურსო წესით შერჩეულ 14 წარმატებულ კანდიდატს ევროპის და აშშ-ის საუკეთესო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე სასწავლებლად სრული დაფინანსების მოპოვება.

პრეზიდენტის ინიციატივით, ვაცხადებთ კონკურსის მეორე რაუნდს იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთათვის. (კონკურსის მეორე რაუნდში ვერ მიიღებენ მონაწილეობას პირველ რაუნდში მონაწილე კანდიდატები).

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან აშშ-ის უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდებზე:

www.drf.org.ge

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 20 ივლისი,.

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

განვითარებისა და რეფორმების ფონდი
ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო
ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)
ელ-ფოსტა: isulava@drf.org.ge
ირინა სულავა
სასწავლო პროგრამის კოორდინატორი

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!!!

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი შეგახსენებთ:

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოცხადებისას თან უნდა იქონიოთ:

საგამოცდო ბარათი;

- პირადობის მოწმობა;

ზოგადი საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი (უცხო ქვეყანაში გაცემულ ატესტატს უნდა ერთვოდეს ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი);

- კალამი (ლურჯი, შავი ან იისფერი).

Gგამოცდაზე სასმელი წყლის შეტანა დაშვებულია მხოლოდ პლასტმასის ბოთლით.

***სხვა ნებისმიერი ნივთის (მობილური ტელეფონი, კალკულატორი და ა.შ.) შეტანა აკრძალულია.* (არ იგულისხმება პირადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთები).**

- რეგისტრაციაზე დაგვიანებული აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება! რეგისტრაცია დასრულდება 9:50 საათზე;

საგამოცდო პროცესზე დარღვევის შემჩნევის შემთხვევაში სააპელაციო განაცხადის გაკეთებას შეძლებთ იმავე ქალაქში მოქმედ სარეგისტრაციო პუნქტში. -

ქართველმა მხატვარმა ბულგარეთის ელჩს საჩუქრად ორი სურათი გადასცა

ბულგარეთის ეროვნული დღესასწაულის - სლავური დამწერლობის დღის აღსანიშნავად, ახალგაზრდა ქართველმა მხატვარმა ვერა ქიქოძემ ბულგარეთის ელჩს საქართველოში საჩუქრად თავისი ორი სურათი გადასცა.

ბულგარული წარმომავლობის ვერა ქიქოძე საქართველოს მხატვართა კავშირის, ასევე ქართულ-ბულგარული საზოგადოება "ვოზროჟდენიეს" ("აღორძინება") აქტიური წევრია.

"დღევანდელი მოვლენა ქართულ-ბულგარული კულტურის ურთიერთობის გაღრმავებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი არის", - განაცხადა ბულგარეთის ელჩმა საქართველოში, ივაილო ბრაზიცოვმა. სურათების გადაცემის ცერემონია ბულგარეთის საელჩოში გაიმართა.

მედიანიუსი

ჟურნალისტური პოდიუმი

ბეჭდი გელოვანის, ფოტოები

ჰაატბა თოთაძე

რა უფრო ძნელია ჟურნალისტისთვის, სიუჟეტის მომზადება და პირდაპირ ეთერში ჯდომა თუ პოდიუმზე სიარული? ეს კითხვა ბევრს გაუჩნდა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ 4 ივლისს სავაჭრო ცენტრ GTC-ში საგანგებოდ გამზადებული პოდიუმი მხოლოდ ჟურნალისტებს უნდა დასთმობოდათ. როგორც წესი, პოდიუმზე მოდელები დადიან, ჟურნალისტები კი შემფასებლის როლში არიან. ორშაბათს ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო და თავში დასმულ კითხვასაც გასცემოდა პასუხი.

სანახაობისადმი რომ დიდი ინტერესი იქნებოდა, წინასწარვე იგრძნობოდა. ჩვენებამდე რამდენიმე დღით ადრე ამ თემაზე აქტიურად საუბრობდნენ და არა მხოლოდ ჟურნალისტურ წრეებში.

"მე მგონი, კარგი სანახაობა გველოდება. ყოველ შემთხვევაში, საამისო წინაპირობა ნამდვილად არის", - გვერდით მდგომს გადაულაპარაკა ჩვენებაზე მოსულმა კოტე კემულარიამ.

"ჰო", – მხარი აუბა კემულარიას თემურ ქურხულმა.

ეს ორნი, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, ადრე მოვიდნენ, არადა, უკვე ათი საათია – დრო, როცა ჩვენება უნდა დაიწყოს. თხუთმეტი წუთის ინტერვალით შემოდიან გივი თარგამაძე, გიგა ბოკერია, კახა ლომაია, გიორგი ბარამიძე. ჩანს, ისინი უფრო ზუსტ ინფორმაციას ფლობენ დაწყების დროსთან დაკავშირებით. ორგანიზატორები გვიხსნიან, რომ ჩვენების დაგვიანების მიზეზი თავად ჟურნალისტები არიან. ზოგი, სხვა დროს მოუცლელობის გამო, იმ წუთებში ხვეწდა პოდიუმზე სიარულის დეტალებს, ზოგმაც მთლად პირდაპირი ეთერის შემდეგ მოირბინა. ნელ-ნელა ის ჟურნალისტებიც ჩნდებიან, რომლებიც პოდიუმზე არ გამოდიან, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ აძლევეთ ნებას, სანახაობის მიღმა დარჩნენ.

"ვისი იდეაა?" – საუბრის წამოწყების ინიციატორი ისევ კოტე კემულარიაა. კითხვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ პასუხი მზად იყო - ეკა თადუმაძე, ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა, ჟურნალისტები სულ სხვა სახით წარედგინა საზოგადოებისათვის და დაემსხვრია მათ გარშემო შექმნილი სტერეოტიპი.

არა და არ ცხრება საუბარი ჩვენებაზე, ყველა მოუთმენლად ელის პოდიუმზე ჟურნალისტების გამოჩენას. ამასობაში ვიღაც ხმამაღლა კითხულობს: მზე? მზე სადაა? – ახალი თემა სასაუბროდ და დროის გასაყვანად.

"ერთი-ორი სხივი აქაა, დანარჩენები კი...", – საუბარია ტელეკომპანია "მზეზე", რომლის შესახებ არაერთი ინფორმაცია გავრცელდა, მაგრამ რომელია ტყუილი და რომელი – მართალი, ჯერჯერობით გაუგებარია. რატომღაც ყველა ერიდება ამაზე ღიად საუბარს. ამასობაში დარბაზში ქართული ღვინის არომატი დატრიალდა. სტუმრებს "თელიანი ველი" უმასპინძლდება, ჩვენების ერთ-ერთი სპონსორი. გენერალური სპონსორები კი "ცენტრ-პოინტი" და "ქართული ხარისხი, განახლებული მენეჯმენტი" არიან.

"ახლა კი ნამდვილად იწყება", – გაისმა დარბაზში და პოდიუმზე წამყვანები გამოჩნდნენ. მცირე წარდგენა და სანაობაც უნდა დაიწყოს, მაგრამ...

"გილაური თუ არის აქ? – იკითხეს დარბაზში.

"მოგეწვიათ და არ ჩაქრებოდა სინათლე", – პასუხმაც არ დააყოვნა. მოგვიანებით გაირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველო მთლიანად გათიშულიყო. დარბაზი ერთ წუთში ისევ განათდა, ჩვენების დაწყება კი ათი წუთით შეყოვნდა, სანამ სცენის განათებასაც მოევლებოდა.

ნათია ლაზაშვილი, თიკო ფეიქრიშვილი, თათია თოფურია, ნანა ლეჟავა, თეა ბოლქვაძე, გურამ დონაძე, ირაკლი და ვანო მაისურაძეები, ირმა ნადირაშვილი, ნანუკა ჟორჟოლიანი, ნათია მიქიაშვილი, ნათია ზამბახიძე, მარიკა ვერულაშვილი და სხვები ერთმანეთს ცვლიან პოდიუმზე.

სტუმრები აშკარად ნასიამოვნები არიან, ბევრი ჟურნალისტი მათ ხელახლა გაიცნეს. ოვაციას არავისთვის იშურებენ, ყველაზე მეტად კი გურამ დონაძის გამოჩენამ გაახალისა აუდიტორია. პოლიტიკოსებმა არჩევანი მარიკა ვერულაშვილზე შეაჩერეს, ჩვენებურიაო.

"მარიკა, ვეცემი, ისეთი ლამაზი ხარ", – ამის თქმა და გიორგი ბარამიძემ ისეთი მოძრაობა გააკეთა, ძლივს შეიკავა თავი, რომ ჰორიზონტალური მდგომარეობა არ მიეღო.

"ასეთი რამ ხშირად რომ მოაწყონ, მერე როგორ გინდა უარი უთხრა ინფორმაციის მიწოდებაზე ან საიდუმლოს გამხელაზე?" – გაიხუმრა ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა. მიზანი მიღწეულია, აშკარაა: პოლიტიკოსები სულ სხვა თვალით უყურებენ ჟურნალისტებს. ისინი ახლა მათთვის მხოლოდ ის ადამიანები არ არიან, რომლებსაც მხოლოდ ინფორმაციის მიღება სურთ, ისინი ახლა გაცილებით ახლობლები, შეიძლება ითქვას, შინაურებიც კი გახდნენ.



ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ "ᲔᲚᲙᲐᲜᲐ" ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲢᲔᲜᲓᲠᲔᲠᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ N00037324 -ᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐᲖᲔ:

1. ტრაქტორი ბელარუსის ტიპის (MT3 - 82)
მისაბმელები:
- ლაფეტი
გუთანი სამკორპუსიანი
- სათესი
კულტივატორი
- ზიგზაგი
მარცვლის გამწმენდ - დამხარისხებელი
- სელის სათესი
2.საცეხველი კილიანი მარცვლეულისათვის

შემოთავაზების ბოლო ვადაა
განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღე.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"
თბილისი, დელისის III ქ. ნაკვეთი N16; ტელეფონი 53 64 89;
ფაქსი 53 64 87; ელ. ფოსტა: administration @ elkana.org.ge

ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. N9.
ტელეფონი: 8 99 28 93 90; 8 265 20046

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გაიოცრწყვი სწრაფი აზროვნებით?
არ გაგინია გამოსაცდელი შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობლებთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ველით ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბლანკი უფასოა

სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

London School ot Commerce (LSC) დირექციონი ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა STM (ლონდონი) გირჩევთ ხარისხის მოსაპოვებლად შეისწავლოთ პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი.
პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება.
University of sunderland (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონი UEL (გაერთიანებული სამეფო) და iniversity of Wales 'Newport (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტებთან ერთად.
პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ ბრილიანტოვნებით, მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2005 წლის 3 აგვისტო.

MBA
MSc

£3950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 5960

ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲮᲔᲓᲕᲐ ᲔᲙᲐᲜᲐᲛᲒᲠᲘᲪᲕᲘᲡ

ის სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებით £ 1000 გადახდის შემდეგ.
ის სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მებაიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, მკუთრის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1
ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk

რადიო "თავისუფლების" ქართული სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რადიო "თავისუფლების" საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომელი, ჟურნალისტი

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ